



2011 წელი, 24-30 მარტი


ფასი 1 ლარი

ახალი ტანათლექსი

№12 (526) ბაგოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ერთიანი ეროვნული გამოსდებისთვის რეგისტრაცია დასასრულს მიუახლოვდა



დაამთავრებული კლასის მოსწავლეთა საყურადღებო!

2-დან 9 აპრილამდე გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოსაშვები გამოცდების მასშტაბურ პრეტესტს ჩაატარებს

2-დან 9 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე, 14:00 საათიდან 19:00 საათამდე ყველა მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერი, ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერიდან მონაწილეობა მიიღოს პრეტესტში, რომლის მიზანია გამოსაშვები გამოცდების კომპიუტერული სისტემის გამოცდა. პრეტესტი საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გაეცნონ თავად სისტემას და ტესტური დავალებების ნიმუშებს, რომელთა მსგავსს მიიღებენ გამოცდაზე.

სისტემა გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება.

მოსწავლე შესაბამის ველში უთითებს საკუთარ 11-ციფრიან პირად ნომერს, რის შემდეგაც ხედავს საგნების ჩამონათვალს. შესაბამისი საგნის მონიშვნის შემდეგ პრეტესტის მონაწილე იწყებს ტესტური დავალებების მიღებას.

გაითვალისწინეთ: განსხვავებით საგამოცდო პროცესიგან, საცდელი რეჟიმისას მოხსნილი იქნება ე.წ. „გაჩერე-

ბის წესი“, რათა მონაწილეებს მიეცეთ შესაძლებლობა, ყველა ტიპის დავალებებს გაეცნონ და უპასუხოთ.

მონაწილე ეკრანზე დაინახავს, სწორად უპასუხა თუ არა დავალებას, თუმცა, ის არ შეფასდება, ასევე, პასუხის არასწორად გაცემისას ეკრანზე არ გამოჩნდება სწორი პასუხი.

საკუთარი თავის გამოცდის შესაძლებლობა მოსწავლეებს 9 აპრილის 19:00 საათამდე ექნებათ.

გამოსდების ეროვნული ცენტრის განცხადება

გამოცდების მოახლოებასთან ერთად პრეტესტის ფიზიკურ გამოცდებში ჩართული გამოცდების მოსწავლეთა და მშობლებისათვის „მოსამზადებელ ტესტებს“ სთავაზობს („აბიტურიენტი“, „სასკოლო ტესტები“ და სხვ). აღნიშნულ გამოცდებში გამოქვეყნებული ნიმუშებმა მოსწავლეებისა და მშობლების სამართლიანი შეფოთება გამოიწვია.

გამოცდების ეროვნული ცენტრი მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგების საყურადღებოდ აცხადებს: აღნიშნულ და სხვა მსგავს გამოცდებებს შეცდომაში შეჭყავთ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და

აბიტურიენტები. გამომცემლები და ავტორები მოსწავლეებს უჩენენ ცრუ მოლოდინს, თითქოს გამოცდისას მსგავს დავალებებზე მოუწვევთ მუშაობა. გამოცდების ეროვნული ცენტრი აცხადებს, რომ არც აღნიშნულ გამოცდებში გამოქვეყნებული ტესტების ხარისხსა და გამართულობაზე აგებს პასუხს. ცენტრი არ ფლობს ინფორმაციას, თუ ვისი შედეგინილია ტესტურ დავალებათა ნიმუშები.

აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის შეუძლიათ მოემზადონ იმ კრებულებების დახმარებით, რომლებსაც გამოცდების ეროვნული ცენტრი ყოველ წელიწადს გამოსცემს (ყველა საგნისათვის). რაც

შეეხება გამოსაშვებ გამოცდებს, მოსწავლეებმა უნდა იხელმძღვანელონ 2011 წლის მოსწავლეთა საატესტაციო გამოცდების მინიმალური სტანდარტით, რომელიც გამოქვეყნებულია გამოცდების ეროვნული ცენტრისა (www.naec.ge) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (www.mes.gov.ge) ოფიციალურ ვებგვერდებზე. გარდა ამისა, გამოცდების ეროვნული ცენტრი აპრილში გეგმავს მასშტაბურ პრეტესტს, რომლის დროსაც სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს რამდენიმე დღის განმავლობაში ყველა საგამოცდო საგანში ტესტური დავალებების მიღება და ვარჯიში შეეძლება.

➡ როგორ შევიძინოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცემები

➡ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ტესტების ნიმუშები

გვერდი 3



დაამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ქვირფასო მეგობრებო!

როგორც გახსოვთ, ახლანდელ გამოცემულ „დიოგენე“ გამოცემაში საათსტატო გამოცემის პროგრამის მიხედვით შედგენილი რამდენიმე დამსმარე სახელმძღვანელო, კერძოდ: 1. ბიოლოგია. დამსმარე სახელმძღვანელო XII კლასისთვის. ავტორები – ლამარა გურდინაძე, მარინა გაბალიშვილი; 2. ბიოლოგია. კონსპექტი საათსტატო გამოცემისთვის. ავტორი – მალხაზ მაყაშვილი; 3. საქარტველოსა და მსოფლიოს ისტორია. XI-XII კლასები. კონსპექტი საათსტატო გამოცემისთვის და ტესტები. ავტორი – გენიკ ლორთქიფანიძე; 4. სა-

ქარტველოსა და მსოფლიოს ისტორია. საათსტატო საგამოცდო საკითხების კრებული. ავტორი – დავით ფარაქი.

ამ სახელმძღვანელოებს დიდი ინტერესით შეხვდნენ როგორც მასწავლებლები, ისე დაამთავრებელი კლასის მოსწავლეები, აბიტურიენტები და მათი მეგობრები.

დღეს ამ სერიას კიდევ ორი ახალი სახელმძღვანელო დაემატა. ვფიქრობთ, მათაც არანაკლები ინტერესით ელოდებიან.

ახლა კი, მოკლედ გაგაცნობთ ამ სახელმძღვანელოებსა და მათ ავტორებს:



ქართული ლიტერატურა

დამსმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

ავტორი – თამაზ ვასაძე


სახელმძღვანელოს შინაარსს ძირითადად შეადგენს ქართული ლიტერატურის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნიმუშების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ეს ნაწარმოებები რთული, მრავალნაზნაგოვანი მხატვრული სამყაროებია, რომელთა წვდომა და მკაფიოდ გააზრება, ბუნებრივია, საკმაოდ ძნელია. წიგნის მიზანი უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის ამ ძნელი საქმის შეძლებისდაგვარად გადავლილებაა.

ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლის პროცესში, ალბათ, ყველაზე პრობლემურია მისი მთლიანობის დანახვა, მისი აღქმა მთლიანი კონცეფციის განხორციელებად, რომელშიც ერთიანი აზრობრივი შუაგულის გარშემო თავს იყრის მრავალი მხატვრული დეტალი და კომპონენტი, სხვადასხვა სახე, მოტივი, ქვეტექსტური დინება... დამსმარე სახელმძღვანელოში გამოკვეთილია სწორედ განხილულ ნაწარმოებთა აზრობრივ-მხატვრული მთლიანობა, რომელიც საგანგებო დაკვირვებისას ხშირად შეიძლება მოულოდნელი კუთხით წარმოჩნდეს.

ქიმია

დამსმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

ავტორები – ჟუჟუნა პეტრიაშვილი, ნელი მაისურაძე.



ეს სახელმძღვანელოც, როგორც ამ სერიის დანარჩენი წიგნები, თანმიმდევრულად მიჰყვება საატესტატო პროგრამას და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად ხსნის ყოველ საკითხს.

ქიმიის საკითხები ურთიერთდაკავშირებულია, ამიტომ სახელმძღვანელო მოიცავს იმ მასალასაც, რომელიც საატესტატო პროგრამით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული საკითხების გააზრებისთვის (ეს საკითხები თავების დასათაურებაში დახრილი შრიფტითა გამოყოფილი). ამავე ფუნქციას ასრულებს ტექსტში ცნებათა განმარტებები, რომლებიც ჩარჩოშია ჩასმული. ასე რომ, სახელმძღვანელო მათაც დაეხმარება, ვისაც მეტი გაგება სურს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელო იძლევა საშუალებას, მოსწავლემ თითოეული საკითხის გამეორებისთანავე შეასრულოს შესაბამისი სავარჯიშოები. წიგნის ბოლოში კი, მოცემულია სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები, რომლებიც საატესტატო პროგრამის ყველა თემას ამოწურავს.

წარმატებას გისურვებთ!

ინფორმაცია

„შეისვენე და მოიგე“ – ასე ჰქვია ჯანსაღი და უსაფრთხო კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „გოგლი-მოგლის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსს, რომელიც თბილისის 53-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის დღეს დაიწყო. კონკურსის გახსნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** დაესწრო.

ლონისძიება სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს და მისი მიზანია მოსწავლეების ნახალისება. თამაში სამ ეტაპად გაიმართება. მესამე ეტაპში გამარჯვებულებს „გოგლი-მოგლი“-საგან ძვირადღირებული პრიზები გადაეცემა. მოსწავლეები ინფორმაციას თამაშის შესახებ ყველა ეტაპზე მიიღებენ, მათ შორის სოციალურ ქსელ **facebook**-ზე განთავსებული „გოგლი-მოგლის“ გვერდის მეშვეობით.

კონკურსის ფორმა და შინაარსი არაორდინალურია, შესაბამისად, იგი მოსწავლეებისათვის მიმზიდველი და სახალისო იქნება. გამარჯვებულ მოსწავლეებს პრიზები აპრილის ბოლოს, დაჯილდოების ცერემონიაზე გადაეცემა.



ვროკავშირის TEMPUS-ის პროექტის „სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიომეცნიერებებში“ პრეზენტაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე** და ევროკავშირის ელჩი საქართველოში **ფილიპ დიმიტროვი** დაესწრნენ. ლონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ: TEMPUS-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტების რექტორები, ბიომეცნიერების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, აგრარული და კვების ბიოტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე წამყვან ორგანიზაციათა პირველი პირები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე გაფორმდა ურთიერთ-



თანამშრომლობის მემორანდუმი მასპინძელ უნივერსიტეტებსა და მოწვეულ სტუმრებს/მონაწილეებს შორის.

ლონისძიების მიზანი საქართველოში ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის დარგის განვითარების ხელშეწყობა იყო, უნივერსიტეტებსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, თანამედროვე და ინოვაციური სასწავლო პროგრამების განხორციელება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით.

უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც სამი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთდროულად ახორციელებს სასწავლო პროგრამის პოპულარიზაციას და იწყებენ თანამშრომლობას ინდუსტრიული სფეროს წარმომადგენლებთან, რათა მათ მიერ მომზადებული კადრები შეესაბამებოდეს ბაზრის დღევანდელ მოთხოვნებს, სწორედ ამას მოემსახურება მემორანდუმი, რომელსაც შეხვედრაზე მოენერა ხელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი (IT) მონიხა. IT ცენტრი ერთადერთია საქართველოში, სადაც მხოლოდ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სახელობო პროგრამები სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: ვებმედიის ტექნოლოგიები; კომპიუტერული ქსელები და სისტემები; ელექტრონიკა და სატელეკომუნიკაციო ქსელები.

სახელობო პროგრამების გარდა, სასწავლებელში მოკლევადიანი პროგრამებიც მოქმედებს, სწავლის ხანგრძლივობა – 2 თვიდან 2 წლამდე. ბოლო სამი წლის განმავლობაში ცენტრის კურსდამთავრებულთა და გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობამ 3 000-ს გადააჭარბა, დასაქმების მაჩვენებელი

სხვადასხვა პროგრამების მიხედვით (52%-75%) მერყეობს. სამინისტრომ სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია განახორციელა. ცენტრში 10 კომპიუტერული კლასი და 7 სპეციალიზებული ლაბორატორიაა. სასწავლებელს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ცენტრში დანერგილია და ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების სისტემა **MOODLE**, რომელიც მოიცავს როგორც ტესტებს, ასევე სასწავლო მასალებს. სისტემაში დარეგისტრირება და სისტემით სარგებლობა შეუძლია არა მხოლოდ ცენტრის სტუდენტს, არამედ ნებისმიერ მსურველს.

ცენტრში ფუნქციონირებს საერთაშორისო სერტიფიკირებისა და სწავლების ცენტრები, **CISCO**-სა და **Microsoft**-ის ბაზაზე. 2011 წლისთვის იგეგმება ტექნიკის განახლება და კიდევ ერთი **CISCO** ლაბორატორიის მოწყობა.

IT ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კომპანიებთან: **Magticom, Alta, Orient Logic, United Telecom, InfogeorgiaXXI, UGT, UNIT, Prime Systems, Bakur Sulakauri Studio, I Stereo, Pixel, GSC, Satellite Geocom, IT Service, Siesta** და სხვ., სადაც სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან და შემდგომ საქმედებიან.

ცენტრმა კოორდინირება გაუწია საქართველოში ყველა პროფესიული ცენტრის პირველი ერთიანი საინფორმაციო სივრცის – ვებპორტალის შექმნისა და დანერგვის პროცესს. 2010 წელს, პირველად საქართველოში, დაინერგა სწავლის მსურველთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა.

სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სასწავლებელმა 2009 წელს ჩატარებულ **NetRiders** ოლიმპიადში გაიმარჯვა. ცენტრში, პერიოდულად, ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგი სხვა ცენტრების პედაგოგებისთვის, მათთვის მზადდება სასწავლო მასალა. აპრილის დასაწყისში, პარტნიორთა დახმარებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი იგეგმება.





როგორ შევიძინოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცდები

ნიგნების გამოწერა შესაძლებელია პრესისა და ნიგნების გავრცელების სააგენტოს შ.პ.ს. „ელვასერვისის“ დახმარებით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნიგნები შეუკვეთონ სააგენტოს ცხელი ხაზის ან ვებგვერდის საშუალებით:

832 38 26 73; 832 38 26 74

თბილისის ფარგლებში ნიგნების მიწოდება ხდება ადგილზე. ნიგნების გამოწერა ასევე შესაძლებელია საქართველოს ბანკის ფილიალებში თანხის გადახდის დროს. როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, კრებულების გამოწერის მსურველებმა ბანკში თანხის გადახდისას უნდა მიუთითონ (გადახდა ხდება წინასწარ):

- სკოლის ზუსტი დასახელება და რაიონი;
- იმ ნიგნების რაოდენობა, რომლებსაც ყიდულობთ;
- კრებულის კოდი სახელწოდების ნაცვლად (ვებგვერდზე მითითებულია ყველა კრებულის უნიკალური კოდი);

■ თანხის გადახდელის ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარი ინფორმაციის (ნომინაციებისა და რაოდენობის) დასაზუსტებლად.

რეგიონებში შეკვეთის მიწოდება ხდება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ან შ.პ.ს. „ელვასერვისის“ წარმომადგენლებთან, რომელთა მდებარეობას „ელვასერვისის“ ოპერატორები დამატებით აცნობებენ მომხმარებლებს.

გადახდა შესაძლებელია:

- „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში, შ.პ.ს. „ელვასერვისის“ ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანით;
- რეგიონებში, რომლებშიც „საქართველოს ბანკის“ ფილიალები არ არის, ნაღდი ფულის გადახდა, 2010 წლის 6 დეკემბრიდან შესაძლებელი იქნება საჯარო რეესტრებში „აივის“ მოლარე ოპერატორებთან;

■ ასევე, შეგიძლიათ ფიზიკური ან იურიდიული პირის ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან თანხა გადარიცხოთ შ.პ.ს. „ელვასერვისის“ ანგარიშზე.

თანხის გადახდის რეკვიზიტები:

შ.პ.ს. „ელვასერვისის“ ს/კ 211399299
საქართველოს ბანკი 220101502
ანგარიშის ნომერი GE87BG000000283156600

თანხის შეტანის ან გადარიცხვის ბლანკის შევსება უნდა მოხდეს შემდეგი მონაცემების მითითებით:

1. თანხის გადახდელის სრული მონაცემები: სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, მისამართი ინფორმაციის დასაზუსტებლად. თუ ბრძანდებით სკოლის წარმომადგენელი – სკოლის დასახელება და ადგილმდებარეობა (ქალაქი, რაიონი)
2. იმ კრებულის კოდი და რაოდენობა, რომელიც გჭირდებათ (კოდი იხილეთ ვებგვერდზე).

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ტესტების ნიმუშები

ისტორია

რომელი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი?

- ა. ბასიანის
- ბ. დიდგორის
- გ. ერწუსის
- დ. შამქორის

გეოგრაფია

რომელი ევროპული ქვეყანა გამოირჩევა ნავთობის მნიშვნელოვანი მარაბით?

- ა. ნორვეგია
- ბ. გერმანია
- გ. იტალია
- დ. საფრანგეთი

მათემატიკა

იპოვეთ

$f(x) = \log_2(2 - \sqrt{x})$ ფუნქციის განსაზღვრის არე.

- ა) (-4; 4)
- ბ) [0; 4)
- გ) (0; 4]
- დ) [2; 4)

ქართული ენა და ლიტერატურა

(სავალდებულო გამოცდა)

I. ქართული ენა

(4) 1. კონტაქტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტიპსტოპი საზღვარსაშუალო სიტყვების შესაფარისი ანტონიმები.

ა) ახოვანი; ბ) ზორბა; გ) ლომობიერი; დ) მალალი; ე) მდიდარი; ვ) მრავალი; ზ) ნოყიერი; თ) რბილი; ი) ტენიანი; კ) ულელი.

ტროპიკული ტყეები გამოირჩევა (1) მკაცრ და (2) მშრალ მცენარეული საფარით. აქ პალმის (3) ცოტა სახეობა ხარობს. პალმას აქვს (4) დაბალი დაუტოტავი ღერო და დიდი ფოთლები.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>									
2.	<input type="checkbox"/>									
3.	<input type="checkbox"/>									
4.	<input type="checkbox"/>									

II. ქართული ლიტერატურა

(4) 2. ფატმანი ნესტანის შესახებ უამოხს ავთანდილს:

„მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი; ვერ გავანდევ ქმარსა ჩემსა, შემენისა მქონდა რიდი, ვთქვი: „თუ ვუთხრობ, ვიცი, დარბაზს გამამჟღავნებს ისი ფლიდი“.

ესე მეყო საგონებლად, შევიდი თუ გამოვიდი. ვთქვი: „თუ არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოეგვარების? არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოეხმარების;“

ქმარი რა მიგრძნობს, მო-ცა-მკლავს, ველარა მომეფარების;

ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაედარების?!”

1. განმარტეთ, რატომ არ გაანდო ფატმანმა ქმარს თავისი საიდუმლო (ციტირება დაუშვებელია!).
2. ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც სამეფო კარს აღნიშნავს.
3. განმარტეთ, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ნესტანის დამალვა თავად ფატმანისათვის.
4. განმარტეთ, ფატმანის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში.

შეფასების სქემა:

1. 1. – თ); 2. – ე); 3. – ე); 4. – დ).
2. ფატმანმა იმიტომ არ გაანდო თავისი საიდუმლო უსენს, რომ ემინოდა, ქმარს არ გაემჟღავნებინა ნესტან-დარჯანის ამბავი. სამეფო კარს აღნიშნავს სიტყვა „დარბაზი“. ნესტანის დამალვის გამო ქმარს შეიძლება მოეკლა ფატმანი. ტექსტის ამ მონაკვეთში ჩანს ფატმანის შემფოთება (ორჭოფობა, მღელვარება, შიში...).

1. საიდუმლო მეფისთვის არ გაემჟღავნებინა _____ 1ქ.
2. დარბაზი _____ 1ქ.
3. შეიძლება მოეკლათ _____ 1ქ.
4. შემფოთება _____ 1ქ.

ლიტერატურა

(არჩევითი გამოცდა)

(7) 1. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარანთი ძვირი“.

1. დედისათვის რა არასასურველი საქმე ჩაიფიქრა გიორგიმ?
2. ოთარანთ ქვრივის აზრით, რის შემდეგ დასჩემდა გიორგის უცნაური ქცევა?
3. „ქალი ბედს შინ მოელოდება, კაცი კი გარეთ ეძებს“, – უთხრა ოთარანთ ქვრივმა გიორგის. რა მიანიშნა დედამ ამ სიტყვებით შვილს?
4. ვის გაახსენდა ოთარანთ ქვრივი მაშინ, როდესაც არჩილის სახლში მომაკვდავ გიორგის თავს დასტრიალბდნენ?
5. არჩილის აზრით, გლეხობის რა თვისებებს განასახიერებს გიორგი?
6. რომელ დღესასწაულს დაემთხვა ოთარანთ ქვრივის გარდაცვალება?
7. ვინ იყო ის ერთადერთი კაცი, რომელსაც „მოუკვდა“ ოთარანთ ქვრივი?

შეფასების სქემა:

1. გიორგიმ ჩაიფიქრა (გადაწყვიტა) მოჯამაგირედ დამდგარი არჩილის სახლში. ოთარანთ ქვრივის აზრით, გიორგის უცნაური ქცევა დასჩემდა ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ. დედამ ამ სიტყვებით შვილს მიანიშნა, რომ ხვდებოდა მის გასაჭირს (ხვდებოდა, რომ შეყვარებული იყო; ქალის გამო მიდიოდა სახლიდან...). მაშინ, როდესაც არჩილის სახლში მომაკვდავ გიორგის თავს დასტრიალბდნენ, ოთარანთ ქვრივი გაახსენდა სოსია მენისქვილს. არჩილის აზრით, გიორგი განასახიერებს გლეხობის ზნეობრივ სიჯანსაღეს (ენერგიას, სასიცოცხლო ძალას, შრომისმოყვარეობას, ბუნებრივობას, სიძლიერეს, გამძლეობას...). ოთარანთ ქვრივის გარდაცვალება დაემთხვა შობის დღესასწაულს. ის ერთადერთი კაცი, რომელსაც „მოუკვდა“ ოთარანთ ქვრივი, იყო სოსია მენისქვილი.

1. მოჯამაგირეობა _____ 1ქ.
2. ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ _____ 1ქ.

3. ხვდებოდა გიორგის გასაჭირს _____ 1ქ.
4. სოსიას _____ 1ქ.
5. ზნეობრივ სიჯანსაღეს _____ 1ქ.
6. შობას _____ 1ქ.
7. სოსია _____ 1ქ.

ბიოლოგია

1. რომელი ნივთიერებები სინთეზდება მიტოქონდრიაში?

- I – ნახშირწყლები II – ნუკლეინის მჟავები III – ცილები
- ა) მხოლოდ I და II ბ) მხოლოდ I და III
- გ) მხოლოდ II და III დ) I, II და III

სწორი პასუხია: დ

ფიზიკა

აირს მიაწოდეს 80 ჯ სითბოს რაოდენობა, რის შემდეგაც მისი მოცულობა 5 ლიტრით გაიზარდა მუდმივი P = 20 კნ/მ² წნევის პირობებში. როგორ შეიცვალა აირის შინაგანი ენერგია?

- ა) შემცირდა 920 ჯ-ით ბ) შემცირდა 20 ჯ-ით გ) გაიზარდა 70 ჯ-ით
- დ) გაიზარდა 180 ჯ-ით ე) გაიზარდა 1080 ჯ-ით

სწორი პასუხი – ბ

ქიმია

მოცემულია მარილის სახელწოდება: ბარიუმის ნიტრატი

ქვემოთ მოცემულ უჯრეტში ჩაწერეთ ამ მარილის:

1.	ქიმიური ფორმულა	
2.	მოლური მასა	
3.	შესაბამისი ფუძე და მჟავა ოქსიდების ფორმულები	
4.	ელექტროლიტური დისოციაციის განტოლება (კოეფიციენტების ჩვენებით)	
5.	ალუმინის სულფატთან ურთიერთქმედების რეაქცია	

სწორი პასუხები

1.	Ba(NO ₃) ₂
2.	261 გ/მოლი
3.	BaO და N ₂ O ₅
4.	Ba(NO ₃) ₂ ⇌ Ba ²⁺ + 2NO ₃ ⁻
5.	3Ba(NO ₃) ₂ + Al ₂ (SO ₄) ₃ = 3BaSO ₄ ↓ + 2Al(NO ₃) ₃

ქართული ეროვნული გამოსცემისათვის მოსამზადებელი ტესტების ნიმუშები

Test de Français

EXERCICE 1

Lisez les situations suivantes (1-12) et trouvez les annonces correspondantes pour chacune d'elles (A-H). Attention, la même annonce peut correspondre à plusieurs situations. Une situation est donnée à titre d'exemple (0-B)

0. Exemple : Des touristes allemands voudraient aller dans un café à deux pas de Notre-Dame. B ____
- De jeunes Italiens aimeraient aller dans un café pour rencontrer leurs compatriotes. ____
 - Les amis de Paul veulent aller au café où a été tourné le film "Amélie Poulain". ____
 - Paul et ses amis cherchent un café où ils pourraient fumer. ____
 - Des touristes américains voudraient s'asseoir dans un café parisien pendant toute la nuit. ____
 - Nicolas voudrait aller dans un café pour voir le match de basket-ball avec l'équipe de Géorgie. ____
 - Votre voisin préfère passer les soirées dans un café de Montmartre. ____
 - Les parisiens qui adorent la cuisine géorgienne ont la possibilité de goûter des spécialités nationales de Géorgie. ____
 - Les touristes français cherchent un endroit à Tbilissi où ils pourraient écouter de la musique de jazz. ____
 - Marie aimerait fêter ses 20 ans dans un café. ____
 - La jeune mère de 30 ans veut organiser une vraie fête pour sa petite fille de 4 ans et ses copines. ____
 - Les Géorgiens qui habitent à Paris ont souvent envie d'écouter les chants nationaux. ____
 - Les étudiants de la faculté des sciences humaines vont souvent manger dans un café très près de l'université. ____

Test in Deutsch

AUFGABE 2

■ Lesen Sie den folgenden Text. Vergleichen Sie die folgenden Aussagen mit dem Textinhalt. Sind sie richtig oder falsch? Markieren Sie bei jeder Aussage, ob sie richtig (R) oder falsch (F) ist.
 ■ Schreiben Sie Ihre Lösungen auf den Antwortbogen.

Südpol - Tödliche Expedition

Im Winter 1911 fanden zwei Expeditionen zum Südpol statt. Eine Expedition wurde von einem Engländer Robert Scott und die andere von einem Norweger Roald Amundsen geleitet. Jeder wollte als erster Mensch den Südpol erreichen. Für Scott brachte die Expedition den Tod, für Amundsen den Triumph.

Die beiden Forscher waren sehr unterschiedlich auf solche Reise vorbereitet. Für Scott war diese Expedition wie ein Spiel. Er hatte zwar keine Erfahrung, aber er war ein Abenteurer. Zur Vorbereitung hatte er nur eine Probeexpedition unternommen, die schlecht geplant war. Scott hat aber aus dieser Erfahrung nichts gelernt.

Amundsen hingegen ging sehr gründlich an die Sache heran. Er hatte mit Eskimos zusammen gelebt und von ihnen gelernt, wie man in extremer Kälte überleben kann. Seine Mannschaft bestand ausschließlich aus norwegischen Polarspezialisten, die alle hervorragende Skiläufer waren. Seine Schlitten wurden von 100 ausgewählten, kräftigen Hunden gezogen. Auch Scott hatte 30 Hunde - aber nur er konnte mit ihnen umgehen. Die Anderen konnten das nicht. Das wichtigste Transportmittel sollten die Pferde sein.

Am 1. November, nach dem Ende der arktischen Nacht, begann Scotts Weg zum Südpol. Bald zeigte sich, dass Scotts Pferde sich nur schlecht im tiefen Schnee bewegen konnten. Weil sie immer schwächer wurden, konnten sich Scott und seine Männer nicht so schnell bewegen, wie Amundsen. Unterwegs verlor Scott erst die Hunde und dann mussten auch die letzten Pferde getötet werden. Aber noch immer fehlten viele hundert Kilometer bis zum Südpol.

Am 17. Januar war schließlich der Pol erreicht. Für Scott war das der schlimmste Tag seines Lebens. Er schrieb in sein Tagebuch: "Das Furchtbarste ist geschehen: Am Südpol entdeckten wir einen schwarzen Fleck." Der schwarze Fleck war die norwegische Flagge, die Amundsen schon Wochen vorher auf dem Südpol gehängt hatte. Scott hatte den Wettlauf verloren.

Auf dem Rückweg führten das schlechte Wetter und die mangelhafte Vorbereitung der Expedition die Männer in die Katastrophe. Der früher als erwartet begonnene antarktische Winter mit seinen Schneestürmen brachte dann das Ende. Wegen eines schweren Schneesturms konnten die Männer das Lager nicht mehr erreichen. Eine Rettungsmannschaft fand sie schließlich in ihrem Zelt tot, nur wenige Kilometer von dem Lager entfernt.

Beispiel: Zwei Expeditionen zum Südpol fanden zur gleichen Zeit statt. (R) F

- | | | |
|--|---------|---|
| 1. Die Expedition von Scott war schlecht vorbereitet | R | F |
| 2. Amundsen hat als Transportmittel Hunde und Pferde gewählt | R | F |
| 3. Die Menschen von Scott konnten mit Hunden umgehen | R | F |
| 4. Amundsen nahm nur Eskimos zum Südpol mit | R | F |
| 5. Alle Pferde sind auf dem Weg zum Südpol gestorben | R | F |
| 6. Amundsen hatte die norwegische Flagge am Südpol aufgestellt | R | F |
| 7. Während der Expedition hat Scott Tagebücher geführt | R | F |
| 8. Der Winter begann in diesem Jahr sehr spät | R | F |
| 9. Scott hat den Südpol am 1. November erreicht | R | F |
| 10. Scott konnte das Lager wegen des schlechten Wetters nicht finden | R | F |
| 11. Scott starb weit weg vom Lager | R | F |
| 12. Rettungsmannschaft konnte Scott und seine Menschen nicht finden | R | F |

Тест по русскому языку

■ Прочитайте текст, а затем – следующие за текстом предложения. Если их содержание соответствует содержанию текста, обведите слово «ДА», если не соответствует, - обведите слово «НЕТ».
 ■ Ответы перенесите в лист ответов.

Джанго Рейнхардт

Выдающийся джазовый гитарист Жан Батист Рейнхардт, известный впоследствии как Джанго Рейнхардт, родился в 1910 году в Бельгии, в цыганской семье. Год спустя семья переехала во Францию. Еще будучи маленьким Жан Батист проявлял удивительные способности к музыке. Не имея музыкального образования, не зная нот, он играл на слух, безупречно повторяя услышанные им мелодии. К девяти годам мальчик в совершенстве владел скрипкой и гитарой, музыкой зарабатывая себе на хлеб. Однако в какой-то момент казалось, что ему придется распрощаться с музыкой: во время пожара в таборе юный музыкант сильно пострадал. Рабочими на его левой руке остались лишь два пальца, поэтому доктора советовали ему забыть о гитаре. Однако молодой гитарист длительными болезненными упражнениями смог не только преодолеть увечье, но и разработал собственную технику игры. Теперь Джанго играл не традиционную цыганскую музыку, а входящий в моду джаз, правда, на цыганский манер. Его игра приводила слушателей в восторг, он мог заставить их плакать и смеяться.

Талант, ум и обаяние Рейнхардта сделали его популярным в творческой среде. С ним дружили артисты, музыканты, художники, писатели и поэты Европы и США.

В годы войны, в оккупированной немцами Франции, Джанго играл даже больше, чем тогда, когда делал это за деньги. Каждый его концерт был вызовом оккупантам. Ведь нацисты считали джаз «уродливой псевдомузыкой», «кривлянием черных недочеловеков», а цыган - «расой, подлежащей уничтожению». Джанго повезло: ему нашел убежище в Англии немецкий офицер Дитрих Шульц, который был влюблен в джаз и был почитателем таланта Джанго.

После войны в моду вошли совершенно новые ритмы, которые оказались музыканту чуждыми. Он навсегда покидает сцену и все свое время посвящает живописи.

Джанго прожил всего 43 года. Спустя годы легендарный скрипач Грапелли так отозвался о нем: «Джанго был гением, намного опередившим свое время. Стиль его игры не похож ни на один другой, благодаря ему джаз стал другим. Будет еще много выдающихся гитаристов, но никогда не будет другого Рейнхардта».

Образец. 0. Семья будущего музыканта поменяла место жительства.ДА / НЕТ

- | | |
|--|----------------|
| 1. Родители дали сыну хорошее музыкальное образование. | ДА / НЕТ |
| 2. Из-за несчастного случая музыкальная карьера Джанго оказалась под угрозой. | ДА / НЕТ |
| 3. Доктора запретили Джанго играть на гитаре. | ДА / НЕТ |
| 4. Многочасовые занятия причиняли молодому гитаристу физическую боль. | ДА / НЕТ |
| 5. После полученного увечья Джанго изменил технику игры. | ДА / НЕТ |
| 6. Цыганское происхождение гитариста повлияло на стиль его игры. | ДА / НЕТ |
| 7. Джанго стал «своим» человеком в творческой среде. | ДА / НЕТ |
| 8. В оккупированной Франции Джанго зарабатывал больше, чем в довоенное время. | ДА / НЕТ |
| 9. Концерты Джанго в покоренной стране свидетельствовали о его неповиновении оккупантам. | ДА / НЕТ |
| 10. От неминуемой гибели Джанго спасло сотрудничество с оккупантами. | ДА / НЕТ |
| 11. Поклонники джаза были и среди немецких офицеров. | ДА / НЕТ |
| 12. Гениальный гитарист с легкостью освоил новые ритмы. | ДА / НЕТ |

English

• Read the text. Then match the headings (A-I) with the paragraphs (1-6). There are two extra headings, which you do not need to use. One example is given.
 • Mark your answers on the answer sheet.

- | | |
|--------------------------------|---------------------------------|
| A. Ada Byron's first design | F. A very popular personality |
| B. Brought up without a father | G. Influenced by the ideas |
| C. Ada Byron in Turin | H. Ada Byron's predictions |
| D. A computer language | I. A short but interesting life |
| E. Her family life | |

Ada Byron - Lady Lovelace

0. B ____
 Ada Byron, Lady Lovelace, was one of the most interesting characters in the history of computers. Ada was the daughter of the well-known British poet Lord Byron. She was born on December 10, 1815 in London. Five weeks after her daughter was born, Lady Byron separated from Lord Byron, who later left England forever. So Ada never met her father and was raised by her mother Lady Byron.

1. ____
 Lady Byron didn't want her daughter to be a poet like her father. She considered mathematics a good subject for training the mind. She also believed that studying music provided a girl with the right social skills. So, music was an important subject in Ada's education. The result was that Ada Byron was brought up to be a mathematician, a scientist and a musician and her talent first became apparent in 1828 when she produced a design for a flying machine.

2. ____
 In 1835 Ada married William King, who was ten years older than her. They had three children: Byron, Annabella and Ralph Gordon. Immediately after the birth of Annabella, Ada suffered from an illness which took months to cure. When Ada's husband inherited a noble title in 1838, they became the Earl and Countess of Lovelace. The family and its fortunes were mostly managed by Ada's mother, Lady Byron, and she was rarely opposed by Ada's husband.

3. ____
 At the age of 17 Ada was introduced to Mary Somerville, who translated the works of the famous French scientist Laplace into English. Mrs. Somerville encouraged Ada to go on with her mathematical studies but she also helped her to try to put mathematics and technology together. It was at a dinner party at Mrs. Somerville's house that Ada heard Babbage's ideas for a new calculating machine. Ada was impressed by the 'universality of Babbage's ideas'. Hardly anyone else was. Babbage was working on plans for this new machine and he reported on the developments at a seminar in Turin, Italy in the autumn of 1841.

4. ____
 An Italian scientist wrote an article on Babbage's ideas and new developments and published it in one of the French newspapers. When Ada translated the article and showed it to Babbage, he suggested that Ada should add her own notes to the translation. In Ada Byron's article, published in 1843, her comments included her predictions that such a machine might be used to compose complex music, to produce graphics, and would be used for both practical and scientific purposes. Time has proved that she was right.

5. ____
 Ada Byron suggested writing a plan for how the machine might calculate Bernoulli numbers. This plan is now regarded as the first 'computer programme.' A software language developed by the U.S. Department of Defense in 1979 was named 'Ada' in her honour. ADA is a general-purpose language designed to be readable and easily maintained. It is easy to use and it was intended to become a standard to replace many specialized computer languages in use.

6. ____
 Ada Byron often met famous people like Charles Dickens and Michael Faraday and her interests ranged from music and horses to calculating machines. Unfortunately, soon after Ada wrote the description of Babbage's Analytical Engine she became severely ill. Ada Byron died of cancer in 1852 and was buried beside her father, whom she had never known. Though her life was short, Ada Byron is remembered for her work, more than a century ago, on what we now consider to be computer programming.

ბავშვთა მიმართ ძალადობა რეკომენდაციები პედაგოგებისთვის



რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თაყაიშვილი

დასასრული, დასაწყისი №11

ემოციური, ძველი, პიროვნებათშორისი და სოციალური ფუნქციონირება ნიშნები, რომელთა გამოვლენისას ძალადობის შესაძლებლობას განიხილავთ:

- ◆ ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შესაძლებელი ცვლილებები, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვის ასაკსა და განვითარების დონეს;
 - ◆ დაბალი თვითშეფასება;
 - ◆ მუდმივად შეშინებული გამოვლენები;
 - ◆ ყურადღების მიპყრობის დაუძინებელი მცდელობები;
 - ◆ ზედმეტად „კარგი“ ქცევა, მშობლის მხრიდან შენიშვნის არიდების მიზნით;
 - ◆ ურთიერთობებისგან გარიდება, იზოლირება;
 - ◆ მუდმივად დაკისრებული პასუხისმგებლობები, რომლებიც ჩვეულ, ყოველდღიურ საქმიანობაში (მაგალითად, სკოლაში სიარული) ხელს უშლიან;
 - ◆ სიტუაციის არაპროპორციული, მძაფრი ან ხანგრძლივი ემოციური რეაგირებები;
 - ◆ თვითდაზიანებები;
 - ◆ უჩვეულო, მოულოდნელი ან ბავშვის განვითარებისთვის შეუსაბამო რეაქცია სამედიცინო გამოკვლევაზე;
 - ◆ სახლიდან გაქცევები.
- ნიშნები, რომლებიც ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე ეჭვს ბადებს:**
- ◆ საკვების ამოღება ნაკვიდან, საკვების მოპარვა;
 - ◆ განურჩეველი ან ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალური ქცევა;
 - ◆ სექსის თემით ძლიერი გატაცება (მაგალითად, საუბრები სექსზე, ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა სექსის შესახებ, გენიტალიების ხატვა ან სექსუალური აქტივობის იმიტირება სხვა ბავშვთან);
 - ◆ სკოლის ხშირი გაცდენები;
 - ◆ სიძნელეები სწავლაში;
 - ◆ თვითდაზიანების ნაკლებობა;
 - ◆ ყურადღების კონცენტრაციის სიძნელე, გაფანტულობა.

მშობლის და ბავშვის ურთიერთობა ნიშნები, რომელთა გამოვლენისას

სას ძალადობის შესაძლებლობას განიხილავთ:

- ◆ ბავშვისადმი მშობლის უარყოფითი ან მტრული დამოკიდებულება;
- ◆ მშობლის მიერ ბავშვის უარყოფა ან ყველაფრის მასზე გადაბრუნება;
- ◆ ბავშვის შესაძლებლობების მიმართ არარეალური მოლოდინი;
- ◆ ძალადობის აღიარება ბავშვის აღზრდის ეფექტურ მეთოდად;
- ◆ მშობელი ბავშვის სოციალიზაციას ხელს არ უწყობს.

ნიშნები, რომლებიც ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე ეჭვს ბადებს:

- ◆ მშობელი მუდმივად ემოციურად მიუწვდომელია ბავშვისათვის ან გულგრილია მის მიმართ;
- ◆ ბავშვი ძლიერ შიშს გამოხატავს ცუდი ნიშნის მიღებისას, მშობლის რეაქციის გამო;
- ◆ მუდმივი შიშები ან წუხილი სწავლასთან, მეგობრებთან, სპორტთან დაკავშირებით;
- ◆ ბავშვი სკოლაში ადრე მოდის, გაკვეთილების შემდეგ ცდილობს შეყოვნდეს და სახლში გვიან ბრუნდება;
- ◆ კითხვის, წერის სიძნელეები ან მათემატიკური უნარების დაქვეითება;
- ◆ შემაშფოთებელ გარემოებათა ან შეცდომების დაშვების მეტისმეტი შიში;
- ◆ ტირილის, ყვირილის, უმიზეზო გაღიზიანების შეტევები;
- ◆ თვითდაზიანება ან საუბრები სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე;
- ◆ განმარტოებისკენ მიდრეკილება, ურთიერთობებისგან თავის არიდება;
- ◆ ინტერესის დაკარგვა იმის მიმართ, რაც ადრე მოსწონდა.

თუ პედაგოგი ბავშვზე ძალადობის ამგვარ ნიშნებს აღმოაჩენს, მან ბავშვის დასაცავად კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად და უნინარესად, ბავშვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს:

მოისმინეთ და დააპირდით

ბავშვთა მიმართ ძალადობის ეჭვის დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია, როდესაც ინფორმაცია რამდენიმე წყაროდან გვაქვს. ბავშვისა და მისი გარემოცვის შესახებ სრული სურათის დასახად საჭირო ინფორმაციის წყაროებია:

- ◆ ნებისმიერი ისტორია, რომელიც მოწოდებულია;
- ◆ შეტყობინება ძალადობის შესახებ, ბავშვის პირდაპირი განცხადება ან მონმის განცხადება;

- ◆ ბავშვის გარგეზული ნიშნები და ფიზიკური ნიშნები;
- ◆ ბავშვის ქცევა;
- ◆ მშობლის ქცევა;
- ◆ მშობელს/მეურვეს და ბავშვს შორის ურთიერთობა.

მოიპოვეთ ინფორმაცია

ბავშვისგან და მშობლებისგან მოიპოვეთ ინფორმაცია ნებისმიერი არსებული დაზიანებებისა და გამოვლენილი ნიშნების შესახებ, მათი განსჯისა და მათდამი ღია უნდობლობის გამოხატვის გარეშე. გაითვალისწინეთ, ახსნა შეუსაბამოა, როდესაც:

- ◆ მონათხრობი არათანმიმდევრულია;
- ◆ გადმოცემული ინფორმაცია არსებულ მდგომარეობას არ შეესაბამება;
- ◆ მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება.

ბაბაქაქაქა ჩანანარი

- ◆ ზუსტად ჩაინერეთ ინფორმაცია ბავშვის მდგომარეობის შესახებ: რა ნახეთ, რა მოისმინეთ, ვისგან გაიგეთ და როდის;
- ◆ ჩაინიშნეთ, რატომ იწვევს ეს ეჭვს ძალადობაზე.

ბანიხილეთ ძალადობის შესაძლებლობა

თუკი არსებული ნიშნები გაფიქრებინებთ, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ბავშვის მიმართ ძალადობას, მოიქციეთ შემდეგნაირად:

- ◆ მოიძიეთ ძალადობის სხვა ნიშნები;
- ◆ მოიძიეთ, ხომ არ ჰქონია ბავშვს მსგავსი ნიშნები წარსულში;
- ◆ განიხილეთ თქვენი ვარაუდი გამოცდილ კოლეგებთან ერთად, ინფორმაციის კონფიდენციალურობის აუცილებელი დაცვით;
- ◆ მოიძიეთ ინფორმაცია ბავშვთან მიმართებაში სხვა პროფესიონალებისგან.

ბამორიცხეთ

ბავშვის მიმართ ძალადობა

თუ არსებული ნიშნების შესატყვისი ახსნა მოიძებნა, ძალადობა გამორიცხეთ.

ეს გადაწყვეტილება მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციის მოგროვებისა და განხილვის შემდეგ მიიღეთ.

როგორ ვიმომხილოთ პროცედურების უარგებლობა

თქვენ უნდა მოახდინოთ:

- ◆ ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე შემთხვევის გაანალიზება;
- ◆ საჭიროების შემთხვევაში, პოლიციისა თუ სააგენტოს ინფორმირება;

- ◆ სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ამისათვის:

- ◆ თუ ეჭვი გაგიჩნდათ, რომ ბავშვზე შეიძლება ძალადობა ხორციელდებოდეს;
- ◆ ადგილზე გააანალიზეთ შემთხვევა, ჩაატარეთ გამოკითხვა და განსაზღვრეთ:
 - საფუძვლიანია თუ არა გაჩენილი ეჭვი;
 - შეიძლება თუ არა შექმნილი სიტუაცია შეფასდეს, როგორც გადაუდებელი მდგომარეობა;
 - ◆ თუ სიტუაცია გადაუდებელ მდგომარეობად მიიჩნევა, დაუყოვნებლივ აცნობეთ პოლიციას და, საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ;
 - ◆ თუ ძალადობაზე ეჭვს საფუძვლიანად თვლით, შეავსეთ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვის ბარათი და ფოსტით ან ფაქსით გაუგზავნეთ სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს;
 - ◆ სააგენტოსთან შეთანხმებით, თვალყური ადევნეთ ბავშვის მდგომარეობას და წერილობით, რეგულარულად შეატყობინეთ სააგენტოს სოციალურ მუშაკს ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ;
 - ◆ თუ ბავშვის დაცვის მიზნით შემთხვევითი ან დამცავი ორდერია გამოწერილი და თქვენ მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე გახდით, აცნობეთ ამის შესახებ პოლიციას.

მნიშვნელოვანია, გახილეთ

- ◆ ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ერთ-ერთი სერიოზული ნიშანია ბავშვის გაიცხადება მომხდარის შესახებ. გაითვალისწინეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბავშვები ძალზე იშვიათად ტყუიან;
- ◆ უგულვებელყოფის განსაზღვრის „ოქროს სტანდარტი“ არ არსებობს, შესაბამისად, გადამწყვეტილების მიღება ძალიან რთულია. უგულვებელყოფის დადგენისას ამოსავალი იყოს ბავშვი, მისი მდგომარეობა და სასიცოცხლო საჭიროებები;
- ◆ მშობლები, რომლებიც ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებენ ბავშვის მიმართ, პრობლემას უარყოფენ, ბავშვს ადანაშაულებენ, შეთავაზებულ დახმარებაზე უარს ამბობენ, ბავშვის მიღწევაში არ ინტერესდებიან;
- ◆ ფსიქოლოგიური ძალადობა ძალადობის ყველაზე ძნელად ამოსაცნობი ფორმაა, რადგან ის სხეულზე ფიზიკურ კვალს არ ტოვებს.

მისი უარყოფითი ეფექტი ხშირად ბავშვის განვითარების შემდგომ პერიოდში ვლინდება;

- ◆ ბავშვის უსაფრთხოების მიზნით მისი ოჯახიდან გაყვანა უკიდურესი ზომაა;
- ◆ ოჯახში ბავშვზე ძალადობის მხარდაჭერას იქ მყოფი სხვა ბავშვებიც საჭიროებენ.

შესაძლო სირთულეები:

- ◆ არ არსებობს ძალადობის პირდაპირი ნიშნები;
- ◆ ბავშვთან და მშობელთან კარგი ურთიერთობის დაკარგვის შიში;
- ◆ შეცდომის დაშვების შიში: „ვეჭვობდი, ვფიქრობდი და შეცდომით დავადანაშაულე მშობელი“;
- ◆ კონფიდენციალურობის დარღვევის შიში;
- ◆ განხორციელებული ძალადობის მიზეზების გამართლება, – „მშობელს გამიზნულად არ მიუყენებია ზიანი ბავშვისთვის“;
- ◆ ბავშვის დაცვის პროცესზე გავლენის დაკარგვის შიში და ეჭვი, რომ ეს ბავშვს სიკეთეს არ მოუტანს;
- ◆ ნანახით, მოსმენილით მიღებული სტრესი;
- ◆ პირად უსაფრთხოებაზე წუხილი.

ბავშვის შესახებ ინფორმაციის გამოსვლა

თუ თქვენ ბავშვისგან მოიპოვეთ ინფორმაცია მასზე მომხდარი ძალადობის შესახებ:

- ◆ აუხსენით, რომ მისი დაცვის მიზნით, თქვენ შესაძლოა კონფიდენციალურობის დარღვევა მოგიხდეთ;
- ◆ დაამშვიდეთ და უთხარით, რომ ინფორმაციის მხოლოდ იმ ადამიანებს მიანვდით, რომლებსაც ბავშვის დაცვა შეუძლიათ;
- ◆ დაარწმუნეთ, რომ აუცილებლად ეტყვიან, თუ ვის გაუზიარებთ ინფორმაციას;
- ◆ განუმარტეთ, რა ზომებს იღებთ მის დასაცავად.

როგორ გავხდეთ სანდონი ბავშვისთვის

- ◆ იყავით მშვიდი და ტაქტიანი;
- ◆ საუბრისას უყურეთ თვალებში;
- ◆ დაუჯერეთ ბავშვს და იყავით მისი მხარდამჭერი;
- ◆ ყურადღებით მოუსმინეთ, არ გაანწყვტინოთ, მიეცით საშუალება გაიმბოთ პრობლემის შესახებ, გამოთქვას აზრი და გაგიმხილოთ გრძობები;
- ◆ დაარწმუნეთ, რომ მისი მეგობარი ხართ და მას არაფერში ადანაშაულებთ;
- ◆ უთხარით, რომ მის დახმარებას შეეცდებით. შეარჩიეთ დამაჯერებელი სიტყვები;
- ◆ აუხსენით, რის გაკეთებას აპირებთ.

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი თბილისის №72 საჯარო სკოლაში სასკოლო სამოქალაქო კლუბების პრეზენტაციას დაესწრნენ. კლუბები სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა.

პრეზენტაციაზე მოსწავლეებმა სამოქალაქო კლუბებში თავიანთი საქმიანობის შესახებ ისაუბრეს და მრავალფეროვანი ტოლერანტობის თემაზე შექმნილი თხზულებები წარმოადგინეს. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, სამოქალაქო კლუბების წევრთა ნამუშევრებს გაცნობოდნენ და მოსწავლეებს გასაუბრებოდნენ.

ლონისძიებმა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების სამსლიანი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მისი მიზანია სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება და ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

პროგრამას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ამერიკული ორგანიზაცია PH International (პროექტი „ჰარმონია“) ახორციელებს. სამსლიანი პროგრამა საქართველოს 9 რეგიონში მიმდინარეობს და 500-მდე სკოლას მოიცავს.



მათემატიკა და განათლების სისტემის რეფორმა

რეკოლუციური გარდაქმნები ხდება განათლების სისტემაში. არ შეიძლება ეს არ დაინახო და არ შეაფასო. როგორც ჩანს, ათი წლის შემდეგ საქართველოს განათლების სისტემა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მსოფლიოში.

ასეთი დიდი ცვლილებების დროს შეუძლებელია ყველაფერი ზუსტად გათვალთ, ყველაფერი გაითვალისწინო.

პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი – მარტივიდან რთულისაკენ – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათემატიკის სწავლების პროცესში. ყველა დაგვეთავაზებოდა, რომ პირველ კლასში განხილული მათემატიკური დებულებები უნდა განსხვავდებოდეს მეთორმეტე კლასში განსახილველი დებულებებისაგან, ამასთან, მათემატიკური მსჯელობების სიმკაცრის დონე ყოველ სასწავლო წელს, თანდათან, შეუმჩნევლად უნდა მატულობდეს.

დანებით სკოლაში, პირველი ექვსი წლის განმავლობაში, მოსწავლეებს უნდა მივანოდოთ მათემატიკური ფაქტები, ცხადია, მოსწავლეებს მათ დასაბუთებას არ მოვთხოვთ, მაგრამ მასწავლებლის მსჯელობას ფაქტების დასაბუთებებიც უნდა ახდეს თან.

– ასეა და მორჩა, ასე დაიმახსოვრე! – ასეთი მიდგომა მცდარი პედაგოგიური მიდგომაა. პირველი კლასიდანვე მოსწავლეებს უნდა დაეუბნათ ყველაფერი, თუ რატომაა თუნდაც $5+1=6$. გაგახსენებთ შესაბამის მსჯელობას: მანამდე მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ რიცხვების მიმდევრობა 1-დან 10-მდე, შეუძლიათ ამ მწკრივში ნებისმიერი რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვების დასახელება, იცან, რომ $5+1$ არის 5-ის მომდევნო რიცხვი, ე.ი. 6. მასწავლებელმა, რომელსაც ნასწავლი აქვს მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია, იცის, რომ ეს შეკრების ის შემთხვევაა, რომელიც ნუმერაციის ცოდნას ეფუძნება, ანუ შეკრების ნუმერაციული შემთხვევა. რიცხვისთვის 2-ის მიმატება უკვე ნასწავლი, რიცხვისთვის 1-ის მიმატებაზე დაიყვანება, მაგალითად, $5+2=5+1+1$; რიცხვისთვის 3-ის მიმატება უკვე ნასწავლი, რიცხვისათვის 1-ისა და 2-ის მიმატების შემთხვევებზე დაიყვანება და ა.შ.

არსებობს დანებითი მათემატიკის სწავლების კლასიკური მეთოდიც. ეს მეთოდიკა ეკუთვნის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა, აფხაზეთის მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოს **ჯემალ ჯინჯიასძეს**.

მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელო **ათანასე ხარაბაძემ** გამოაქვეყნა 1928 წელს. ეს იყო არითმეტიკის სწავლების მეთოდოლოგია. იმ დროს დანებითი სკოლაში მხოლოდ არითმეტიკაზე იყო ლაბარაჟი. იხსენებდა სხვადასხვა ტიპის უამრავი მოქმედებები ამოცანები ბავშვებისათვის მეტად ჩახლართული ანალიზურ-სინთეზური ხერხით.

ალგებრისა და გეომეტრიის ელემენტები დანებითი სკოლაში 1970 წლიდან შემოვიდა. ბავშვებმა შეგებით ამოისწავლეს. ალგებრის ელემენტებმა გაამარტივა არითმეტიკის სწავლების, შეიძლება ითქვას, ურთულესი გზა. სასწავლო შედეგების პროცესიც სრულიად ბუნებრივად წარმოადგინა. ამ ნიადაგზე, 1976 წელს, გამოქვეყნდა **ალექსანდრე ნერეთლის** მიერ შედგენილი „დანებითი მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია“. ალექსანდრე ნერეთელს თვლის ოცობითობის პრინციპი ჰქონდა წამოწეული წინა პლანზე და ამის გამო მეთოდოლოგიურ კვლევებში ორი მიმართულება გაჩნდა. ერთს, რომელიც თვლის ათობითობას აძლევდა უპირატესობას, ხელმძღვანელობდა ცნობილი მეთოდისტი **შოთა ბაკურაძე**, მეორეს, რომელიც თვლის ოცობითობას ემყარებოდა, მეთაურობდა ასევე ცნობილი მეთოდისტი ალექსანდრე ნერეთელი. დანებითი კლასებისათვის მათემატიკის სახელმძღვანელოების ავტორი იყო ბატონი შოთა ბაკურაძე, ხოლო ამავე კლასებისათვის მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი – ბატონი ალექსანდრე

ნერეთელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბაკურაძის სახელმძღვანელოების ავტორის პრინციპები ენიშნაღმდეგობადა წერეთლის მეთოდოლოგია და პირიქით, ამის გამო მასწავლებლები ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. როგორც ქართველებს გვჩვენებდა, ეს ორი მიმართულება გადაემეტრა ერთმანეთს. ცხარე კამათი დიდხანს გაგრძელდა. გაგრძელდა მანამ, სანამ არ გამოჩნდა მეთოდოლოგიის მესამე სახელმძღვანელო. ეს იყო ჯემალ ჯინჯიასძის „დანებითი სკოლაში მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია“, რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა. ამ შესანიშნავი ნიგნის ტირაჟი 20000 ეგზემპლარი იყო, გაერთიანდა მთელ საქართველოში, ყველა მასწავლებელმა მიიღო და ამით მთლიანად მოიხსნა მანამდე არსებული დაძაბულობა მეთოდისტიკებსა და მასწავლებლებს შორის, რადგან ამ ნიგნში სწორ მეთოდოლოგიურ დონეზე იყო გადამწყვეტილი ყველა მეთოდოლოგიური საკითხი. ავტორმა თვლის ათობითობასა და ოცობითობას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა. 1990 წლიდან ამ ნიგნზე დანებითი კლასების მასწავლებელთა მრავალი თაობა აღიზარდა.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს არის ლოგიკურად გამართული, მკაცრად დასაბუთებული დედუქციური სისტემა, სადაც ყოველი ნაბიჯი, ყოველი მომდევნო დებულება უკვე განხილული მათემატიკური ფაქტიდან გამომდინარეობს.

როგორც აღვნიშნეთ, დანებითი კლასებში ადრე „არითმეტიკა“ იხსნავდებოდა, ამით ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სწავლების პრიორიტეტი იყო რიცხვები და რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების უნარ-ჩვევების ფორმირება. დღესაც, ძირითადი მიზანი რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების უნარ-ჩვევების ფორმირება უნდა იყოს, რაც ამ ეტაპზე ვერ მიიღწევა, თუ დანებითი კლასების პროგრამიდან ამოვიღებთ უარყოფით რიცხვებს. დანებითი კლასებში უარყოფით რიცხვების სწავლების მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტია – ყველა მოსწავლე ვერ შეძლებს ბოლომდე გაიაზროს ამ ცნების არსი. მართლაც, უარყოფითი რიცხვები აბსტრაქციის უფრო მაღალი საფეხურია, სწორედ ამიტომაც უნდა დაიწყოს მათი შესწავლა V-VI კლასებში. თორემ რა გამოიწვევს, VII კლასში მოსწავლეები იწყებენ გეომეტრიის სისტემატური კურსის შესწავლას, ფიზიკის შესწავლის დროს სჭირდებათ ათის უარყოფითმნიშვნელობის ხარისხებზე მოქმედებების შესრულება და ამ დროს წარმოადგენს არა აქვთ, როგორ უნდა გამოვთვალოთ უმარტივესი გამოსახულებები, როგორცაა: $1-2, 3-5, 5-6$ და ა.შ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დანებითი კლასებში არითმეტიკის შესწავლისას მოსწავლეებს უნდა დაეუბნათ ყოველი ნაბიჯი, ყოველი ახალი ინფორმაცია; იგივე იქმნის გეომეტრიულ ფაქტებზეც. VI კლასში მოსწავლეებს მოცულობების ფორმულებიც უნდა გავაცნოთ. მაგალითად, კონუსის მოცულობა ფუძის ფართობისა და სიმაღლის ნამრავლის მესამედია. თუ ჩვენ მხოლოდ ამ წინადადებას შემოვიფარგლებით, იმის იმედს არ უნდა გვქონდეს, რომ მოსწავლე დაიმახსოვრებს.

გასული საუკუნის მათემატიკის VI კლასის ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოში, იქ, სადაც საუბარი იყო ცილინდრისა და კონუსის მოცულობებზე, ერთ ასეთი შესანიშნავი დავალება იყო მოცემული: „მუყაოსაგან დაამზადეთ თავლია ცილინდრი და კონუსი (ფუძის გარეშე) ისე, რომ მათ ფუძე და სიმაღლე ერთნაირი ჰქონდეთ. კონუსი ზუსტად გაავსეთ ქვიშით და შემდეგ ეს ქვიშა ჩაყარეთ ცილინდრში. თუ ამას კიდევ ორჯერ გაიმეორებთ, ცილინდრი ქვიშით ზუსტად შეივსება. ამრიგად, კონუსის მოცულობა ცილინდრის მოცულობის მესამედია!“

თუ მოსწავლე ამ დავალებას გულდასმით შეასრულებს, ეცდება დაიცვას სიზუსტე და თან რამდენჯერღაც შეამოწმებს, თავისთავად მეტად უჩვეულო, ამ ფაქტს, მას არათუ ეს დებულება, ცდის ჩატარების წერილობრივ კი მთელი სიცოცხლე ემხსოვრება.

ცნობილი ფაქტია, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესახებ თეორემა განსაზღვრავს, თუ რომელ გეომეტრიასთან გვაქვს საქმე. თუ სამკუთხედის კუთხეების ჯამი 180 გრადუსია, საქმე გვაქვს ევკლიდურ (სასკოლო) გეომეტრიასთან, თუ სამკუთხედის კუთხეების ჯამი 180 გრადუსზე მეტია (ან ნაკლებია) საქმე გვაქვს არაევკლიდურ გეომეტრიებთან, ამიტომ დებულება სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

პირველი ცნობა სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესახებ მოსწავლეებს უნდა მივანოდოთ V-VI კლასებში. აქვე მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ამ დებულების დაახლოებით ასეთი „დამტკიცება“: „ოთხკუთხედის თითოეული წვეროდან ფარგლით შემოხაზეთ ტოლი რადიუსის რკალები ისე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. გამოჭერთ ეს ოთხკუთხედი, შემდეგ კი რკალების გასწვრივ ჩამოაჭერთ კუთხეები და დალაგებთ ისე, რომ ყველა წვერო ერთ წერტილში მოხვდეს. მიიღებთ წრეს. როგორც არ უნდა აიღოთ წერტილები, რომელთა შეერთებითაც ამოხსნილი ოთხკუთხედი მიიღება, ყოველთვის სრულ წრეს მიიღებთ, სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ ოთხკუთხედის ყველა კუთხის ჯამი სრული კუთხეა.“

ანალოგიურად შეიძლება დავრწმუნდეთ – ნებისმიერი სამკუთხედის კუთხეების ჯამი გამოიღოს კუთხის ტოლია“ (ხ. შაბანოვა და სხვ., უცხოზღაღმდებელთა მათემატიკა, გამოცემლობა „ინტელექტი“, 2010 წელი, გვ.25).

„აქვე აღვნიშნავთ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში მათემატიკური სიზუსტის მკაცრი დაცვა ჯერ ერთი შეუძლებელია, მეორე მხრივ კი დანაშაულია, რადგანაც სიმკაცრის დონე უნდა განისაზღვროს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინტელექტუალური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით“ (იქვე, გვ.41).

VII კლასიდან მათემატიკური სიმკაცრის ახალ დონეზე გადავდივართ, მიუხედავად ამისა, გეომეტრიის პირველი დებულებები, რომელთა დამტკიცებასაც უჭველდ ჩემპარტებზე მიიღებს მოსწავლე, უნდა იყოს უმარტივესზე უმარტივესი, უნდა იყოს ისევე გასაგები და მარტივი, როგორც პირველი წინადადება, რომლის წაკითხვასაც სწავლობს სკოლაში მოსწავლე, როგორც – აი ია.

VII კლასში, მართკუთხა სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესახებ თეორემა შეიძლება ასე დავამტკიცოთ:

„ავიღოთ მართკუთხედი. მართკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი ოთხი მართი კუთხის ტოლია. გავავლოთ დიაგონალი. მართკუთხედი გაიყოფა ორ ტოლ მართკუთხა სამკუთხედად (მოსწავლეებს შეიძლება დავავლოთ მუყაოზე დახაზული მართკუთხედი გაჭრან დიაგონალის გასწვრივ და პრაქტიკულად დანრწმუნდნენ ამ წინადადების სისწორეში). მართკუთხა სამკუთხედების კუთხეების ჯამი მართკუთხედის კუთხეების ჯამის ტოლია, ამიტომ ერთი მართკუთხა სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორი მართი კუთხის, ანუ 180 გრადუსის ტოლია“ (იქვე, გვ.51).

თუ ჩვენ მოვიწოდებთ, რომ ეს დამტკიცება მათემატიკურად სრულყოფილი იყოს, მოგვინევს მართკუთხედის არსებობის დამტკიცება. ეს კი საკმაოდ ძნელი საქმეა! ცნობილია აგრეთვე, რომ XVII საუკუნეში იტალიელმა მათემატიკოსმა **ჯიროლამო საკერიმ** აიღო ოთხკუთხედი, რომლის ორი მოპირდაპირე გვერდი (ფერდები) ტოლია და მესამის (ფუძის) მართობულია, ამ ოთხკუთხედს საკერის ოთხკუთხედი ეწოდება. ევკლიდურ გეომეტრიაში საკერის ოთხკუთხედი მართკუთხედაა, არაევკლიდურ გეომეტრიაში – არა!

ეს ყველაფერი მასწავლებელმა უნდა იცოდეს, VII კლასის მოსწავლეს საკერის ოთხკუთხედზე საუბარს ვერ გაუბამთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროისათვის, მოსწავლეს წინა კლასებში უკვე ნასწავლი აქვს მართკუთხედის თვისებები, მისთვის ცნობილია მართკუთხედის პერიმეტრისა და ფართობის გამოსათვლელი ფორმულები და ამ დროს,

მასწავლებელი იქნება ეს თუ სახელმძღვანელოს ავტორი, მას დააყენებს ასეთი პრობლემის პირისპირ – დაამტკიცეთ, რომ არსებობს მართკუთხედი; მისი დასკვნა იქნება – ესენი ვერ არიან სრულ ჭკუაზე! – და ის მართალი იქნება!

VII კლასში, აგების ამოცანების გაცნობის შემდეგ, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ ამოცანები, რომლებიც მაღალ კლასებში იხსნება სინუსებისა და კოსინუსების თეორემების საშუალებით. სანამ ამ თეორემებს იხსნავლიან, მოსწავლეებმა აღნიშნული სახის ამოცანები უნდა ამოხსნან გრაფიკულად, აგების მეშვეობით. მაგალითად, თუ მოცემულია სამკუთხედის ორი გვერდი და მათ შორის მდებარე კუთხე, ამ მონაცემებით მოსწავლეები აგებენ სამკუთხედს და დანაყოფბიანი სახაზავის მეშვეობით იგებენ მესამე გვერდის სიგრძეს. შემდეგში, მაღალ კლასებში, როცა მოსწავლეები გაცნობიან სინუსებისა და კოსინუსების თეორემებს, ზუსტად იმავე ამოცანას ამოხსნიან სინუსებისა თუ კოსინუსების თეორემების მეშვეობით, მაღალ კლასებში მათ ამ გზით უნდა შეეძლოთ მიღებული პასუხების შემოწმება საკმაოდ მაღალი სიზუსტით. მხოლოდ ასეთი ცოდნა გამოადგებათ მომავალში. როგორც ცნობილია, პრაქტიკული ამოცანების ამოხსნის დროს ამოცანის პასუხს ცნობარებში ვერ იპოვი, ამიტომ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მიღებული პასუხის სისწორის დამოუკიდებლად შემოწმება.

მეშვედ, მერვე, მეცხრე კლასებში ელემენტარული გეომეტრიის კურსის გადმოცემა მთლიანად უნდა დამთავრდეს. გეომეტრიის კურსი უნდა დამთავრდეს მოცულობებისა და ზედაპირების ფართობების გამოთვლელი ფორმულების გამოყენებით. მოცულობების გამოსათვლელად უნდა გამოვიყენოთ კავალიერის პრინციპი. მართალია, კავალიერის პრინციპით მიღებული დებულებები არ შეიძლება ჩაითვალოს მკაცრად მათემატიკურად დამტკიცებულად, მიუხედავად ამისა, კავალიერის პრინციპი მათემატიკური სიზუსტის მომდევნო საფეხურია.

რაც შეეხება X-XII კლასებს, აქ იგივე მასალა, ფართობებისა თუ მოცულობების გამოთვლელი ფორმულები გადმოცემული უნდა იყოს წარმოებულისა და ინტეგრალის მეშვეობით, იმ მათემატიკური იარაღის გამოყენებით, რომელიც კვლევის უზოგადეს მეთოდებს გვაძლევს. დანებითი კლასებში პრაქტიკული გამოცდილებიდან მიღებული გეომეტრიული დებულებები საშუალო სკოლაში კავალიერის პრინციპით უნდა დამტკიცდეს, ხოლო მაღალ კლასებში წარმოებულისა და ინტეგრალის მეშვეობით უნდა მოხდეს მათი საბოლოო განმტკიცება.

წარმოებული და ინტეგრალი მათემატიკის რიგითი, ჩვეულებრივი ნაწილი არ არის. წარმოებულისა და ინტეგრალის ცნებების ამოღება სასკოლო პროგრამიდან დიდი შეცდომაა, თან ეს მოხდა მაშინ, როცა სწავლება თორმეტწლიანი გახდა და მათემატიკისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა გაიზარდა.

მათემატიკის განვითარების ახალი პერიოდი იწყება XVII საუკუნიდან. შემოდის ცვლადი სიდიდის, უსასრულობის იდეის, ზღერის, წარმოებულის, დიფერენციალისა და ინტეგრალის ცნებები. რა მოცულობითა და შინაარსით შეიძლება ამ საკითხების მოსწავლეთათვის მინოდება და როგორ? ამ საკითხების გადწყვეტა გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდათ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, **გეორგ კანტორის** წინადადებით, დაიწყო მოძრაობა მათემატიკოსთა საერთაშორისო გაერთიანებისათვის. 1897 წელს, შვეიცარიის ქალაქ ციურხში შედგა მათემატიკოსთა პირველი მსოფლიო კონგრესი. მოხსენებით – „მათემატიკური განათლების შესახებ“ გამოვიდა ცნობილი მეცნიერი **ფელიქს კლაინი**. 1928 წელს მათემატიკოსთა მე-8 საერთაშორისო კონგრესი იტალიის ქალაქ ბოლონიაში

თვალსაზრისი

გაიმართა. კონგრესს ესწრებოდნენ ქართველი მათემატიკოსები - ნ. მუსხელიშვილი და გ. ნიკოლაძე. ამ კონგრესიდან იწყება სასკოლო რეფორმისათვის ბრძოლის მეორე პერიოდი.

შემდეგ იყო მეორე მსოფლიო ომი, მათემატიკისათვის არავის ეცალა; ამიტომ ეს საკითხები დღის წესრიგში მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში დადგა.

საბჭოთა კავშირში, ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მოსამზადებლად, მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, შეიქმნა სპეციალური კომისია. ამ კომისიის მათემატიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა XX საუკუნის უდიდესი მათემატიკოსი ანდრეი კოლმოგოროვი.

ანდრეი კოლმოგოროვის ინიციატივით სპეციალიზებული მათემატიკური სკოლები გაიხსნა მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. 1965 წელს ანდრეი კოლმოგოროვი თბილისს ეწვია და მათემატიკურ სკოლაში (ყოფილი კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა) სასწავლო პროგრამებს გაეცნო. უკვე იმ დროს მათემატიკურ სკოლებში ისწავლებოდა ანალიზური გეომეტრიის დიდი ნაწილი, წარმოებული და ინტეგრალი ინაველებოდა კონტრკოვების „ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები“ საცდელი სახელმძღვანელოების მეშვეობით. მათემატიკის ახალი საკითხები, რომელთა შეტანაც იგეგმებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამებში, იხვეწებოდა და მოწმდებოდა თავდაპირველად მათემატიკურ სკოლებში.

ანდრეი კოლმოგოროვის ხელმძღვანელობით მათემატიკის სწავლების რეფორმა დაიწყო 1970 წლიდან. რეფორმას იმთავითვე ბევრი მონაწილე მდებარე ჰყავდა. განსაკუთრებით ბევრი მონაწილე მდებარე ჰყავდა სკოლაში წარმოებულისა და ინტეგრალის სწავლებას.

წარმოებული და ინტეგრალი მათემატიკის რიგითი, ჩვეულებრივი ნაწილი არ არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVII საუკუნეში, წარმოებულისა და ინტეგრალის ცნებების შემოღებით მათემატიკის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა, მაგრამ წარმოებული და ინტეგრალი მართკო მათემატიკის საკუთრება არაა, ამ ცნებების შემოღებით კაცობრიობის ისტორიაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალი ერა დაიწყო.

სკოლაში წარმოებულისა და ინტეგრალის სწავლების მონაწილე მდებარე ძირითადი არ-გუმენტია - ყველა მოსწავლე ვერ შეძლებს ბოლომდე გაიზაროს, ჩანდეს ამ ცნებების არსს. განა ყველა მოსწავლეს, ყველა მათემატიკური ფაქტი ბოლომდე აქვს გააზრებული? უზარალო გაყოფა ავიღოთ: 3:4=0,75. სკოლაში უამრავ უფროსკლასელს იბოვი, რომელიც ვერ აგისწი, თუ როგორ გავყავით სამი ოთხზე, ამიტომ, ამ ლოგიკით სკოლაში გაყოფის მოქმედება არ უნდა ისწავლებოდეს.

სასკოლო სახელმძღვანელოში არ არის აუცილებელი წარმოებულის ცნების მკაცრი მათემატიკური განსაზღვრება. საკვებით საკმარისია წარმოებულის ცნების ფიზიკური ან გეომეტრიული აზრის განხილვა.

დღეს გეომეტრია ცალკე საგნად არ ისწავლება, არგუმენტად მოყავით ის, რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებშიც ასეა, არადა ანდრეი კოლმოგოროვი აღნიშნავდა: „მრავალ ქვეყანაში მიღებულ მათემატიკის სახელმძღვანელოების ერთიან სისტემასთან შედარებით, გეომეტრიის სახელმძღვანელოს არსებობას აქვს გარკვეული უპირატესობანი, თუ მკაცრად იქნება დაცული გეომეტრიის კურსის აგების ლოგიკა - ალგებრისა და ანალიზის საწყისების კურსთან მიმართებაში“ (იქვე. გვ. 43).

მათემატიკა გეომეტრიის სახით ეგვიპტეში ჩაისახა. გეომეტრია სიტყვასიტყვით „მინისზომელობას“ ნიშნავს, რაშიც ფაქტობრივად ფართობების გამოთვლა იგულისხმება. უძველესი დროიდან მათემატიკისათვის პრიორიტეტი ფართობებისა და მოცულობების გამოთვლა იყო.

რა სახის ფართობის გამოთვლა შეუძლიათ დღევანდელ მოსწავლეებს? - სამკუთხედის (მრავალკუთხედი შეიძლება სამკუთხედებად დავეყოთ) და წრის. მაგრამ ამ ფიგურების ფართობებს ჩვენს ნელთარიცხვამდე მშვენიერად ითვლებდნენ; სულ უზარალო - მრუდწირული ტრაპეციის ფართობის გამოთვლა (ალარაფერს ვამბობთ მოცულობებზე) - საშუალო სკოლის პროგრამით არ არის გათვალისწინებული.



ზვიად ჯავახიშვილი

ინტეგრალი არის უნივერსალური, გამოსაყენებლად ძალიან მარტივი იარაღი ნებისმიერი სახის ფართობებისა და მოცულობების გამოსათვლელად. ინტეგრალური აღრიცხვა ჩაისახა სწორედ მრუდწირული ტრაპეციების ფართობების გამოთვლის გზით.

დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ასე ითვლიდნენ მრუდწირული ტრაპეციების ფართობებს, სანამ არ აღმოჩნდა, რომ ინტეგრალი და განარეობა შებრუნებული ოპერაციებია, ხოლო მრუდწირული ტრაპეციის ფართობის გამოთვლა ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულით სულ უბრალო გამოანგარიშებაზე დაიყვანება.


ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა იყო ის გზავჯარედი, სადაც ერთმანეთი გადაკვეთა დიფერენციალურმა და ინტეგრალურმა აღრიცხვამ. დღემდე ეს ფორმულა მათემატიკის ყველაზე საოცარი და ყველაზე ლამაზი ფორმულაა.

ვინ იცის, რამდენი საერთაშორისო მათემატიკური კონგრესი მიეძღვნა ამ თეორიის პოპულარული ენით, ბავშვებისათვის გასაგებად გამოცემის საკითხებს, ამიტომ დაუსაბუთებლად ამ საკითხების ამოღება სკოლის პროგრამიდან დანაშაულის ტოლფასია. როგორც აღვნიშნეთ, კოლმოგოროვისეულ რეფორმას უამრავი მონაწილე მდებარე ჰყავდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

ერი, რომელიც თავის ისტორიას დაიწყო, გაქრობისთვისაა განიწილი. მათემატიკის სწავლების საკითხებსაც აქვს ისტორია, ამ ისტორიის დაიწყოება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

სრულიად ბანალურმა ფაქტმა დაუდო პირველი ნაღმი კოლმოგოროვისეულ რეფორმას. ანდრეი კოლმოგოროვი იყო XX საუკუნის ყველაზე დიდი მათემატიკოსი, ამასთან უპატიოსნესი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, თავისი ქვეყნის პატრიოტი, აპოლიტიკური პიროვნება, პოლიტიკასთან საერთო არაფერი არ ჰქონდა და როგორც მკითხველი ქვემოთ დარწმუნდება, საერთოდ ვერ ერკვეოდა პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში, მათემატიკური მეცნიერების გარდა მისთვის სხვა არაფერი არ არსებობდა, ისტორია მას ალბათ ეიღერის გვერდით მიუჩენს ადგილს. ასეთმა ბუმბერაზმა მეცნიერმა დადანიცა სასკოლო რეფორმისათვის მიეძღვნა დარჩენილი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდ მათემატიკოსს, ისრაელის მეცნიერებათა აკადემიამ ანდრეი კოლმოგოროვს სპეციალური პრემია მიანიჭა, მათემატიკური მეცნიერების კვლევის სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის.

იმ დროისათვის ისრაელსა და საბჭოთა კავშირს შორის განუყვებელი იყო დიპლომატიური ურთიერთობა, მეტიც, ისრაელი მტრულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, ამიტომაც სპეციალური სამსახურის დაჯავლებით ა. კოლმოგოროვს „ურჩიეს“, არ წასულიყო ისრაელში, უარი ეთქვა პრემიის მიღებაზე. ეტყობა, ეს რჩევა ან გასაგებად არ იყო ნათქვამი, ან ა. კოლმოგოროვმა ვერ შეაფასა, ვისთან ჰქონდა საქმე. ასე იყო თუ ისე, კოლმოგოროვს ოვაციებით შეხვდა ისრაელის დედაქალაქი; ამ დროს კი, მოსკოვში უკვე მზადდებოდა, ინერგებოდა „მამხილებელი“ წერილები. ისეთმა გახეტებმა, როგორიც იყო „პრავდა“, „იზვესტია“ დაბეჭდეს წერილები სათაურით „ეთიკა და მათემატიკა“, სადაც ტენდენციურად გააშუქეს მათემატიკის რეფორმის მიმ-



ანდრეი კოლმოგოროვი

დინარობა და რაც ყველაზე აღმაშფოთებელი იყო, მეცნიერს ბრალი დასდეს სამშობლოს ღალატში. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი - როგორ დაესაჯათ მეცნიერი. სასჯელის სხვადასხვა ზომებთან ერთად (ა. კოლმოგოროვი განათავისუფლეს ყველა თანამდებობიდან, ჩამოართვეს ნოდებები და სახელმწიფო ჯილდოები) მისი ერთ-ერთი სახელმძღვანელო „გეომეტრია 6-8“ ამოიღეს სახელმძღვანელოთა სიიდან.


ტოტალიტარულ რეჟიმს ალტერნატიული სახელმძღვანელო არ აღმოაჩნდა, ამიტომაც იძულებულნი იყვნენ, სკოლაში შეეტანათ ა. კოგორელოვის ნიგნი, რომელიც ავტორმა 1983 წელს გამოსცა და რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტების მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი. ეს იყო გეომეტრიის შესანიშნავი სახელმძღვანელო, ოღონდ სტუდენტებისათვის. მათთვის, ვინც პედაგოგიკის ან მათემატიკის სწავლების მეთოდის საკითხებს თუნდაც ზედაპირულად იცნობს, დასაწყისშივე ცხადი იყო, რომ ეს ნიგნი სკოლის სახელმძღვანელოდ არ გამოდგებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ნიგნს საქართველოში უამრავი მხარდაჭერი გამოუჩნდა მათ შორისაც კი, ვისაც მათემატიკის მეთოდის სწავლების საკითხების ცოდნის დიდი პრეტენზიები ჰქონდათ. სახელმძღვანელო სასწრაფოდ ითარგმნა ქართულად და გავრცელდა.

კიდევ ერთხელ გვინდა დაფიქსიროთ: ზემოთ პირობებზე აღვნიშნეთ, რომ სახელმძღვანელოში უნდა იყოს გათვალისწინებული მოზარდის განვითარების ფსიქიკური, ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, ასაკობრივი თავისებურებანი. ა. კოგორელოვის „გეომეტრია 7-11“ დანერგული იყო ერთი მიდგომით, მათემატიკური სიმკაცრის დონე ისეთივე იყო მე-7 კლასში, როგორც მეთერთმეტეში, უფრო სწორად კი, მათემატიკური სიმკაცრის დონე ნიგნის დასაწყისიდან ბოლომდე გათვლილი იყო ზრდასრული სტუდენტზე, ვინც მათემატიკა აირჩია თავის სპეციალობად! არ იყო გათვალისწინებული პედაგოგიკისა თუ მათემატიკის სწავლების მეთოდის ელემენტარული დებულებები.

სახელმძღვანელოს გამოსვლას უამრავი გამომხატველი მოჰყვა, ძირითადად - უარყოფითი. საკავშირო ჟურნალში „Математика в школе“ უამრავი წერილი დაიბეჭდა. აი, რას წერდა ერთ-ერთი მასწავლებელი ჩელიაბინსკიდან: „როცა წარმოვიდგენ, რომ ახალ სასწავლო წელს ისე ა. კოგორელოვის ნიგნით უნდა ვასწავლო მოსწავლეებს, შეძრწუნების გრძნობა მეუფლება. არც თეორია ბავშვებისათვის მისწავლო და არც ამოცანები. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ეს არის ყველა მასწავლებლის აზრი, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ქალაქში ყველა ასე ფიქრობს.“ შევეშვათ ჩელიაბინსკს და ისევ საქართველოში დავბრუნდეთ. ვნახოთ, რა ხდებოდა ამ დროს თბილისში.

თბილისში გამოდიოდა განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, მისი რედაქტორი იყო ცნობილი ჟურნალისტი, ბატონი რობერტ ძერია. გამოდიოდა აგრეთვე ამ ჟურნალის დამატებები, ერთ-ერთი დამატება იყო ჟურნალი „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“. ამ ჟურნალს რედაქტორობდა ბატონი ავთანდილ ბენდუქიძე. აი, რას წერს ერთ-ერთ თავის მოგონებაში ბატონი რობერტ ძერია:

„...ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ავთანდილი ჩვეულებისამებრ დარბაისლურად შემო-



ავთანდილ ბენდუქიძე

ვიდა ოთახში, მშვიდად დაჯდა სკამზე, ასევე აუღელვებლად გახსნა თავისი მიძიმე ხელჩანთა, ამოიღო ერთგვერდიანი ხელნაწერი და მაგიდაზე დადო.

ნაკითხულმა გამოგნა - ბატონი ავთანდილი ჩვენი ჟურნალის დამატების რედაქტორის მოვალეობისაგან განთავისუფლებას ითხოვდა. მიზეზი? ზემოხსენებულ სახელმძღვანელოს (საუბარია ა. კოგორელოვის ნიგნიზე) შედგენის პრინციპთან უთანხმოება.

მორიდებით ვცადე საქმის შემოტრიალება. ამაოდ.

ბატონი ავთანდილი კლდესავით იდგა.

„- ასეთი სახელმძღვანელოებით მოსწავლეებს ვერაფერს ვასწავლით, მათემატიკას კი ნამდვილად შევაძლებთ. მე ამას ვერ გავაკეთებ. ისე კი იცოდეთ, რომ ამ სახელმძღვანელოებს დიდი ხნის სიცოცხლე არ უნერია.“ ასე დაშორდა რედაქტორი ნაამაგარ ჟურნალს, მხოლოდ იმიტომ, რომ რწმენას არ უღალატა და მონიუღმა კაცმა პოზიცია არ დათმო“ (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2.03.1997).

სამწუხაროდ, ავთანდილ ბენდუქიძის პროგნოზი არ გამართლდა, 15 წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა ქართულ საზოგადოებას, რომ საბოლოოდ უარი ეთქვა ამ ნიგნიზე.

კოლმოგოროვისეულ რეფორმას ბოლო ნაღმი ვინ დაუდო, ჩემთვის უცნობია. ქართველ მეცნიერთა რომელი ჯგუფის ინიციატივით მოხდა საქართველოს სკოლების მათემატიკის პროგრამიდან წარმოებულისა და ინტეგრალის ამოღება, ჩემთვის დღემდე უცნობია. ამით საბოლოოდ გაცამტვრდა ის ძალისხმევა, რასაც ა. კოლმოგოროვმა უდიდესი ენერგია და თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი შეაღია. ბატონი ავთანდილ ბენდუქიძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამას ნამდვილად არ დაუშვებდა, რადგანაც ბატონი ავთანდილი იყო და დღემდე არის უდიდესი ავტორიტეტი.

დრო სწრაფად მიდის წინ, მეცნიერება - კიდევ უფრო სწრაფად, ამიტომ დროზე უნდა გასწორდეს სასწავლო პროგრამებში ყველა ხარვეზი, თორემ მომავალ თაობას სამეცნიერო კვლევების თანამედროვე, მძლავრი, ეფექტური იარაღის გარეშე შეუძლებელი.

არც ერთ ქვეყანაში ქვეყნის პირველი პირი ასე აქტიურად არ არის დაკავებული სწავლების პრობლემებით. რომელი ერთი ჩამოეთვალთ: განათლების სისტემაში კორუფციის ძირფესვიანად აღმოფხვრა (ათი წლის წინათ ამას ვინ დაიჯერებდა!), სკოლების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, სკოლების რემონტი და ახლების მშენებლობა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, მოსწავლეთა ნახალისების ახალი სისტემის შექმნა, მასწავლებელთა ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლა, სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი ნესების შემუშავება, პროფესიული სწავლების სასწავლო ცენტრების შექმნა, ინგლისური ენის სპეციალისტთა მთელი არმიის ჩამოყვანა, მანდატურების სამსახურის შექმნა, რეგიონული მნიშვნელობის ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა, სადაც სტუდენტებს უმაღლესი მათემატიკის საფუძვლიანი შესწავლა მოუწევთ, სწორედ ამიტომაც აუცილებელი, რომ მოსწავლეები უმაღლესი მათემატიკის საწყის ცნებებს დაეუფლონ სკოლაში.

დანიელ რომანიშვილი

საუბრაბი ბიბლიაზე

იაკობი



„აბრაჰამ შვი ისაკი; ისაკიან შვი იაკობი“



რუზიკაშ ვაშადზე
მაკა თაძაძიძვილი

რებეკას, იაკობის დედას უფლისაგან ჰქონდა გაცხადებული, რომ ესავის ნაცვლად იაკობს უნდა მიეღო მამისაგან პირველობის კურთხევა (დაბ. 27:13). ამ კურთხევის შედეგად იაკობი ისაკის მთავარი მემკვიდრე გახდა და ისაკის მიერ უფავისაგან მიღებული ალთქმა მთლიანად იაკობზე გადავიდა. გადმოცემის თანახმად, როგორც კი ისაკმა სწორი არჩევანი გააკეთა და ესავის ნაცვლად იაკობი აკურთხა, მხედველობა აღუდგა და უკვე თვალთაც არჩევდა შვილებს. მეტიც, მომავლის ჭრეტის უნარიც დაუბრუნდა. ასეთია სწორი არჩევანის შედეგი.

„და ემტერებოდა ესავი იაკობს კურთხევის გამო, რომლითაც აკურთხა იგი მისმა მამამ. და თქვა ესავმა თავის გონებაში: მოახლოვდეს მამაჩემის გლოვის დღეები, და მოვკლა იაკობი, ჩემი ძმა“ (დაბ. 27:41). იაკობი მოტყუებული, კურთხევადაკარგული ესავის რისხვას უცხო ქვეყანაში გატლას ამჯობინებს და დედის რჩევით ხარანში ბიძასთან, ლაბანთან გადწყვეტს ნასვლას, სადაც ისაკის სურვილით, წინაპართა ჩვეულებისამებრ ხარანელ ქალს, თავის ბიძაშვილს შერთავდა ცოლად და დაოჯახებული დაბრუნდებოდა მშობლიურ ოჯახში. „ადექი და გაიქციე შუამდინარეთში ბათუელის, დედაშენის მამის, სახლში და მოიყვანე იქიდან შენთვის ცოლი ლაბანის, დედაშენის ძმის, ასულთაგან. ხოლო ჩემი ღმერთი გაკურთხებს შენ და ავალორძინებს შენ და გაგამრავლებს შენ, და იქნები ხალხთა კრებული; და მოგეცეს შენ აბრაამის, მამაჩემის, კურთხევა, შენ და შენს თესვს შენმდე, რათა დაიმკვიდროთ შენი მწირობის ქვეყანა, რომელიც მისცა ღმერთმა აბრაამს“ (დაბ. 28:2-4). გზად მიმავალ იაკობს დაუღამდა და ერთ უდაბურ მიწოდროში მოსვენ-

და. ესიზმრა ცასა და დედამიწას შორის აღმართული კიბე, რომელზედაც ანგელოზები აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ, ზემოთ კი უფალი იდგა. იაკობი მიხვდა, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო ადამიანის სულიერი განვითარების გზა და რომ უფლისკენ აღმავალი და ზემოდან ჩამომავალი ადამიანები მისი შთამომავლები იყვნენ. სიზმარში უფალმა აღუთქვა იაკობს, რომ მის შთამომავლობას საცხოვრებლად მისცემდა ქანაანს, „და თქვა: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაამისა, შენი მამისა, და ღმერთი ისაკისა; ნუ გეშინია; მინას, რომელზეც შენ გიძინავს, შენ მოგცემ მას, და შენს თესვს. და იქნება შენი თესლი, როგორც მინის ქვიშა, და განვირცობა ზღვისკენ და სამხრეთით და ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით და იკურთხება ქვეყნის ყველა ტომი შენით და შენი თესლით. და აჰა, მე შენთან ვარ და შენს მცველად ყველა გზაზე, რომელზეც ივლი, და დაგაბრუნებ შენ ამ ქვეყანაში, რადგან არ დაგტოვებ შენ, ვიდრე არ გავაკეთებ მე ყველაფერს, რასაც გეუბნებოდი შენ“ (დაბ. 28:13-15). უფალი შეპირდა იაკობს, რომ დაიფარავდა მას ყველა ძნელ გარემოებაში და დააბრუნებდა იმ მიწაზე, საიდანაც იგი ახლა გარბოდა. „აღდგა იაკობ განთიად და აღილო ლოდი იგი, რომელი იდგა სასთუმალად, და აღმართა იგი ძეგლად და დაასხა ზეითი თავსა ზედა მის ლოდისასა და უწოდა სახელი ადგილსა მას „სახლი ღმრთისა“ (დაბ. 28:18,19). ამვე დროს, თავის მხრივ იაკობმაც დალო ალთქმა, რომელიც ძირითადად მატერიალურ ხასიათს ატარებდა. გულისხმობდა უფლის აღიარებას და უფლის დახმარებით მოპოვებული სიმდიდრე და მეთაფის უფლისათვის დაბრუნებას (დაბ. 28:20-22).

გადმოცემის თანახმად, წმინდა ადგილი, სადაც იაკობს უფალთან მიმავალი კიბე ესიზმრა, იერუსალიმის ტერიტორიაზე მდებარეობს. სწორედ აქ, სადაც ღვთის მადლით გაჯერებული ცა და დედამიწა თითქოს გაერთიანდა, მოგვიანებით სოლომონის ტაძარი აღიმართა. ბიბლიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჭას, სადა იაკობს, საკვანძო შეხვედრები სწორედ ჭასთან ხდება. იაკობიც მივიდა მესოპოტამიაში და გაჩერდა ერთ ჭასთან, სადაც

მწყემსები პირუტყვს წყალს ასმევდნენ. იაკობმა გამოკითხა მწყემსებს ლაბანის შესახებ. ამ დროს ჭასთან ლაბანის ასულმა რაქელმა მორეკა მამამისის ცხვრები. იაკობს დანახვისთანავე შეუყვარდა რაქელი და „ეამბორა იაკობი რაქელს და შეყვირა ხმით და ატირდა. და უთხრა რაქელს, რომ ძმა არის მისი მამისა და, რომ ძე არის რებეკასი. და გაიქცა და აუნყა თავის მამას ეს სიტყვები“ (დაბ. 29:11-12).

უფლისა და მოყვასის სიყვარულმა მისცა ძალა იაკობს. პაპანაქება სიცხესა და სუსხიან სიცივეში შვიდი წელი თავდაუზოგავად იმსახურა რაქელის მამასთან – ლაბანთან, რათა მოეპოვებინა უფლება ცოლად მოეყვანა საყვარელი ადამიანი. შვიდი წელი რამდენიმე დღესავით გაილია და როდესაც მოვიდა დრო ქორწინებისა, ლაბანმა მოტყუებით იაკობს ლია, უფროსი ქალიშვილი შერთო ცოლად. დილით, როდესაც იაკობისათვის სიამამის ხრიკი ნათელი გახდა, საშინლად გაბრაზდა „და უთხრა იაკობმა ლაბანს: ეს რა მიყავი მე? რაქელისთვის არ გემსახურე შენ? და რატომ მომტყუე მე? და უთხრა ლაბანმა: არ არის ასე ჩვენს მხარეში, რომ მისცენ უმცროსი უფროსზე ადრე“ (დაბ.29:25-26); რაღას იზამდა იაკობი, ემსახურა ლაბანს კიდევ შვიდი წელი. „...და მისცა მას ლაბანმა რაქელი, თავისი ასული ცოლად“ (დაბ. 29:28).

იაკობს რაქელი უყვარდა. ამის გამო ლია ძლიერ სწუხდა, მაგრამ ღმერთმა ლია შელიანობით დააჯილდოვა. რაქელთან ქორწინების შემდეგ იაკობმა სიმამრს შინ, მამამისის სახლში დაბრუნების ნებართვა სთხოვა. ლაბანმა უთხრა: „თუ ვპოვებ მადლი შენ წინაშე, მივხდები, რადგან მაკურთხა მე ღმერთმა შენი შემოსვლით“ (დაბ.30:27). რა მოგცე შენ სასყიდლად, რომ კიდევ დარჩე ჩემთან? – ჰკითხა ლაბანმა. შეთანხმდნენ: რაც ჭრელი თხა და შავი ცხვარი დაიბადებოდა, იაკობს იქნებოდა. ღმერთმა დააჯილდოვა იაკობი, უფრო მეტი სწორედ ჭრელი თხა და შავი ცხვარი იბადებოდა. შემურდა ლაბანს და პირობა შეცვალა, მაგრამ არ ფერხდა და ნიშნავდნენ იაკობის საკუთრებად, იმ ფერის თხა და ცხვარი იბადებოდა. ექვს წელიწადში იაკობი ძლიერ

გამდიდრდა. ლაბანი და მისი ძენი კი შურით იესებოდნენ.

ლაბანთან ცხოვრების 20 წლის მანძილზე იაკობს პური, სამოსელი და არც რაიმე სხვა სახის დახმარება არავისათვის უთხოვია. მხოლოდ უფალი იყო მისი ერთადერთი იმედი. უფლის სიყვარული და რწმენა აძლევდა ძალას ოჯახიდან შორს, წარმართული ტრადიციებით გარშემორტყმულ მარტოსულს, გულით ეტარებინა ღვთის რწმენა, სულში გაეზარდა და გამოენთო უფლის სიყვარული. ღვთის დახმარებით, იაკობმა ორი ცოლი, 11 ვაჟი, ერთი ქალიშვილი და უამრავი ქონება დააგროვა. მაგრამ, ნათელი გახდა, რომ ლაბანისა და მისი ვაჟების შურის გამო იქ აღარ დაედგომოდა. უფლის ნიშანს ელოდა და აი, ერთხელაც გამოეცხადა უფალი და უთხრა: „მე ვარ შენი ღმერთი... ან აღდეგ და განვედ ამიერ ქუეყანით...“ (დაბ. 31:13).

იაკობმა მოამზადა ცოლ-შვილი, ყოველივე, რაც ებადა, „...და წარიყვანა ცოლი თვისი... და წარიღო ყოველივე მონაგები... და ყოველივე, რაც იყო მისი“ (დაბ. 31:17-18). იცოდა იაკობმა, რომ ლაბანი არ მოისურვებდა მის ნასვლას, მით უფრო საქონლისა და პირუტყვის, ქონების დაკარგვას. ლაბანისთვის ყველაზე დიდი დანაკარგი იაკობის საშუალებით მიღებული უფლის მფარველობა იყო, რომლის წყალობითაც იმატებდა და მრავლდებოდა ლაბანის სიმდიდრე. ლაბანი და მისი ძენი უკან დაედევნენ იაკობს. გზაში ლაბანს უცნაური სიზმარი ეზმანა: „და მივიდა ღმერთი ლაბან ასურელთან ძილში ღამით და უთხრა მას: გაუფრთხილდი თავს, რომ არ თქვა იაკობთან ცუდი“ (დაბ.31:24).

ლაბანს ღმერთი არასოდეს ენახა. უფლის გამოცხადებამ და მით უფრო მისმა სიტყვებმა განაცვიფრა წარმართი. და როდესაც წამოენია იაკობს და უსაყვედურა შვილებსა და შვილიშვილების წართმევის გამო, უთხრა: „და ახლა შეუძლია ჩემს ხელს, რომ გიბოროტოს შენ; მაგრამ შენი მამის ღმერთმა გუშინ მითხრა მე და თქვა: გაუფრთხილდი თავს, რომ არ თქვა იაკობთან ცუდი“ (დაბ.31. 29). და გაბრაზებული ლაბანმა იაკობს ორი ძირითადი ბრალდება წამოუყენა, პირველი შეხებოდა ლაბანის სახლიდან იაკო-

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, პირველად საქართველოში, ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი შემუშავდა. პროექტის შექმნის შესახებ ინიციატივით სამინისტროს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრმა, დეპუტატმა გურამ ჩახვადემ მიმართა. მან სამინისტროს ექსპერტებთან ერთად, უშუალო მონაწილეობა მიიღო სტანდარტის შექმნაში.

ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის ელექტრონული ვერსია განსახილველად კომისიას წარედგინა. პირველი სამუშაო შეხვედრა სამინისტროში გაიმართა და კომისიის წევრებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შამკინი მონაწილეობდა. სტანდარტში აღწერილია ქართული ენის ფლობის დონეები (A1-A2; B1-B2). მობილური პროგრამა საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა მარტივად დათვალიეროს ერთმანეთს ქართული ენის სხვადასხვა საკითხი და შეძლოს ზეპირ თუ წერილობით ტექსტებში ორიენტირება. სპეციალურად ამ პროგრამისთვის პირველად შეიქმნა ქართული ენის ფუნქციური გრამატიკა. საბოლოოდ, პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უნიფიცირებას და ხელს შეუწყობს ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (ლაპარაკი, წერა, კითხვა, სმენითი აღქმა) განვითარებას.

ქართული ენის ფლობის სტანდარტი განკუთვნილია მასწავლებლების, შემფასებლების, მეთოდისტების, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემდგენლებისათვის, სასწავლო ლიტერატურის გამომცემლებისა თუ რედაქტორებისათვის, ასევე, თვითშემსწავლელებისა და იმ პირთათვის, ვისაც საქმე აქვს ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლა/სწავლებასთან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მომავალში ლექსიკონ ერთეულებს ინგლისურ ენაზე თარგმანი დაერთდება; ქართული წარმოთქმის მოსმენის მიზნით, ყველა სალექსიკონო ერთეული და მაგალითი გახმოვან-

დება; შესწავლილი მასალის შემონების მიზნით, შედგება სპეციალური ტექსტები, რომლებიც ჩაიტვირთება ელექტრონულ პროგრამაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ფუნდამენტური კვლევებისთვის ახალ, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს აცხადებს. კონკურსის მიზანია ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღება ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში.

საკონკურსო პირობები მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძემ და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს გააცნეს. ფუნდამენტური კვლევები საქართველოში, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში, გასულ წლებშიც ფინანსდებოდა, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ნელს, რუსთაველის ფონდმა კონკურსს ახალი, დამოუკიდებელი სახე მისცა.

საკონკურსო პირობების მიხედვით, პროექტის წლიური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს, ხოლო ხანგრძლივობა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით განისაზღვრება. წარდგენილ პროექტებს, ძირითადად, უცხოელი დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური ექსპერტები შეაფასებენ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის განცხადებით, საკონკურსო კვლევა ორიენტირებული უნდა იყოს ინოვაციური იდეებისა და კონცეფციების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ტექნიკური და სხვა ტიპის პროგრესის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ახალი კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით, ფონდის წარმომადგენლები უმაღლესი სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში კონსულტაციებს გამართავენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შამკინი ლანჩხუთის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, განხორციელებულ რეფორმებსა და სამომავლო გეგმებს შეეხებოდა.

ლანჩხუთელ მოსახლეობასთან შეხვედრისას დიმიტრი შამკინი იმ პრობლემებისა და დაინტერესდა, რომელიც ლანჩხუთის მაცხოვრებლებს აწუხებდა და რომელთა მოგვარებაშიც მათ თანადგომა ესაჭიროებათ. მინისტრმა შეკრებილ აუდიტორიას ვრცელი ინფორმაცია მიანაოდა კონკრეტულად განათლების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებსა და სამომავლო გეგმებს. მოსახლეობასთან ანალოგიური შეხვედრები განხორციელებული რეფორმების შედეგებზე ყველაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა, ამიტომ, მინისტრი სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრებს მომავალშიც გააგრძელებს.



THIS SPRING TIME

თბილისის 144-ე საჯარო სკოლაში, 17 მარტს, დირექციის ინიციატივითა და ინგლისური ენის პედაგოგების ორგანიზებით, ჩატარდა ინგლისურენოვანი პროექტის შემჯავამებელი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ინგლისური ენის ღვანღმოსილ პედაგოგს, ქალბატონ აზა მიქაძეს.

ქალბატონმა აზამ იანვარში დატოვა სკოლა, თუმცა არც მას ეთმობოდა სკოლა და არც სკოლას ეთმობოდა იგი. სწორედ ამიტომ გადაწყდა გაცილების საღამოს გამართვა სკოლაში, სადაც მან მრავალი წელი გაატარა და სადაც დღეს მისი ნამონაფრები მუშაობენ: დირექტორი მანანა კიკაჩიშვილი; ინგლისური ენის პედაგოგები – ანა დარსაველიძე, თეა ხელაძე; ქართული ენის მასწავლებლები – ხათუნა ჩოქერი და ნინო სონღულაშვილი. მასწავლებლების გაცილება ბოლო წლების კარგი ტრადიციაა.

პროექტი განახორციელეს ინგლისური ენის პედაგოგებმა: ანა დარსაველიძემ, თეა ხელაძემ, დალილა მიქაძემ, ინგა მატყვარიანი; მათ დაეხმარნენ: ხელოვნების მასწავლებელი ფიქრია შათირიშვილი და მათი კოლეგის შვილი, მუსიკის სპეციალისტი თეა ედიბერიძე. ღონისძიება ინგლისურ ენაზე წარი-



მართა, მონაწილეობდნენ: II, III, IV, V, V, VIII, IX, X კლასების მოსწავლეები. მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს აზა მასწავლებელს, ნაიკითხეს ლექსები, გაითამაშეს სკეტჩები, წარმოადგინეს მიზანსცენები, პროფესიონალურად შეასრულეს ნაწყვეტები მიუზიკლიდან „მუსიკის ჰანგები“ – „Hi Ho“, „Do, re, mi“, „Edelwise“. საღამოსთვის მომზადდა თემატური გაზეთები.

მონაწილეებმა პედაგოგებს გაზაფხულის ყვავილები მიართვეს და ხელოვნებისა და შრომის გაკვეთილებზე მოსწავლეების მიერ დამზადებული ულამაზესი მისალოცები დაურიგეს.

ქალბატონმა მანანა კიკაჩიშვილმა, დირექციის სახელით, სკოლის ყველა პედაგოგს სამახსოვრო მცირე საჩუქარი გადასცა. თბილი სიტყვებით მიმართა აზა მასწავლე-



ბელს და იმ პედაგოგებს, რომლებმაც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მიმდინარე სასწავლო წელს დატოვეს სკოლა: ანა გარსევანიშვილს, ირინა ქაჯაიას, ცირა ბიკაშვილს, მზევი ცომიას. აღინიშნა, რომ აზა მასწავლებლის სახელი და გვარი ღვანღმოსილ პედაგოგთა საპატიო კედელზე განთავსდება. დირექტორმა პატივი მიაგო ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი პედაგოგის – მედეა გვაჭ-

კორის ხსოვნას (რის გამოც ეს ღონისძიება მოგვიანებით ჩატარდა). საღამო დასრულდა სკოლის ხალხური საკრავებისა და სიმღერის წრის (ხელმძღვანელი – მაია ტრაბაიძე) მოსწავლეების მიერ შესრულებული სიმღერებით გაზაფხულზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე.

შორენა ზარდიაშვილი
დირექტორის მოადგილე

ნიჭიერი მსოფლის ზოგჯერ

მოსწავლეთა შემეცნებით განვითარებას, მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენას უამრავი კონკურსი, კონფერენცია, საგნობრივი ოლიმპიადა და სასკოლო ცხოვრების ბევრი სხვა ეტაპი ემსახურება. ვისთვისაც მნიშვნელოვანია საკუთარი ძალების გამოცდა, ასეთ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ყოველწლიურად ატარებს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას, რომელიც 25 საგნობრივ სექციას აერთიანებს. ამის შესაბამისად, რაიონების მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები ჯერ ადგილებზე ატარებენ კონფერენციებს, შემდეგ წარმატებული ნამუშევრები უფრო მაღალ საფეხურზე – რესპუბლიკურ კონფერენციაზე იგზავნება.

მიმდინარე წელი სასახლის საიუბილეო – 70-ე წელია, კონფერენცია კი 65 წელია რაც ტარდება საგარეჯოს რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელობით რაიონის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდები 65-ჯერვე მონაწილეობდნენ ამ დიდ ფორუმში.

26 თებერვალს ხალხმრავლობა იყო საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი – დალი ბედოშვილი) – სწორედ ამ დღეს 65-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის რაიონული ტური გაიმართა. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორთან, ქალბატონ თამარ ჯაბადათან საუბრისას გაიკვია, რომ მიმდინარე კონფერენციაში 240-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, შესაბამისად, 21 სექციაში ამავე რაოდენობის ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ნამუშევრები ქართული ლიტერატურის, შემოქმედ მოსწავლეთა, საქართველოს ისტორიის, ეკოლოგია-ბიოლოგიისა და ინგლისური ენის სექციებში. საინტერესო კვლევები წარმოადგინეს ქიმიისა და ფიზიკის სექციებში. დიდი შრომა გასწიეს რო-

გორც მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა: ნარგიზ ნადირაშვილმა, ირინე და ბადრი დრეიძეებმა, ჯემალ მახარიაშვილმა, ოლა მეხაშიშვილმა, ლია ქვლივიძემ, ირინა თულაშვილმა, ელისო შაქარაშვილმა და სხვებმა, ასევე საგარეჯოს საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებმა: ლელა საბაშვილმა და მარინა გიუნაშვილმა – გიორგინიშინდის საჯარო სკოლა; ლელა გუმბარაშვილმა და დალილა არჩემაშვილმა – „თამარ გარეჯელის“ სახ. კერძო სკოლა; მარადი ქურდოვანიძემ, ქეთევან ქვლივიძემ, ანა კველიშვილმა, ეკა ლაფაჩიშვილმა, ნია მელაშვილმა, მაკა ქურხულმა და დარეჯან ქუსიკაშვილმა – საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა; მანანა გეგელიძემ – ნინოშინდის საჯარო სკოლა; ნათელა სულიკაშვილმა და გულნარი რევაზიშვილმა – საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა; თეონა ტაველიშვილმა – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იურისტმა; თამარ ტაველიშვილმა – პედაგოგმა; ნათელა ქვლივიძემ – შურნალისტმა, რომლებიც სექციებს ხელმძღვანელობდნენ და კონფერენციაზე წარმოდგენილ თემებს ასწორებდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თითოეულ თემას, როგორც სამეცნიერო ნამუშევარს, ჰყავდა ხელმძღვანელი – პედაგოგი, რომელთა საერთო რაოდენობა 110-ს შეადგენს. მოსწავლეთა რაიონულ კონფერენციაში მონაწილე ყველა მოსწავლე საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დიპლომით დაჯილდოვდა, ნამუშევრები კი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გადაიგზავნა რესპუბლიკურ კონფერენციაზე განსახილველად.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს 75 წლის იუბილე მივულოცოთ, ვუსურვოთ წინსვლა, წარმატებულ ალსაზრდელები და მომავალი!

ლეილა არჩემაშვილი



ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საატესტატო გამოცდებისათვის მზადებას განაგრძობს. საატესტატო გამოცდები ჩატარდება როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების ბაზაზე.

საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლა სრულ მზადყოფნაშია გამოცდების ჩასატარებლად. სამწუხაროდ, რიგი კერძო სკოლები არ ცდილობენ სათანადოდ მოემზადონ საატესტატო გამოცდებისთვის, კერძოდ, სკოლებს არ უზრუნველყოფენ საატესტატო გამოცდებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით, რის გამოც მათ მოსწავლეებს გამოცდების ჩაბარება საჯარო სკოლების ბაზაზე მოუწევთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კიდევ ერთხელ მოუწოდა კერძო სკოლებს, აქტიურად ჩაერთონ საატესტატო გამოცდებისთვის მზადების პროცესში და მოსწავლეებს საშუალება მისცენ, გამოცდები მათთვის კომფორტულ და შეჩვეულ გარემოში ჩააბარონ.

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრით გამოწვეულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, იაპონიის საელჩოსთან თბილისის 64-ე, 72-ე, 47-ე და 151-ე საჯარო სკოლების 100-მდე მოსწავლე თანაგრძნობის ბარათებითა და ყვავილებით მივიდა. იაპონელი ხალხისადმი თანადგომა გამოხატეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და სკოლის დირექტორებმა.

მოსწავლეებმა ყვავილებით მიაგეს პატივი კატასტროფის მსხვერპლ თანატოლებს და განაცხადეს, რომ იაპონელი მოზარდები მარტონი არ არიან ამ მძიმე წუთებში, მათ საქართველოშიც თანაუგრძნობენ.



განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ბათუმის საზღვაო აკადემიას ესტუმრა და სწავლის პროცესს გაეცნო. სტუდენტებთან და პედაგოგებთან შეხვედრისას განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და ახალ გამოწვევებზე ისაუბრა.

ბათუმის საზღვაო აკადემია საქართველოში ერთადერთი უმაღლესი საზღვაო სასწავლებელია, სადაც პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე 1419 სტუდენტი სწავლობს. აკადემიის ბიბლიოთეკა შევსებულია უახლესი საზღვაო





პირველად, 20 მარტს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში, გაიმართა აფხაზეთის ღია ჩემპიონატი ხელჩართულ ბრძოლაში. მასშტაბური შეჯიბრი ჭაბუკთა შორის 10 წონით კატეგორიაში ჩატარდა.

ჩემპიონატში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის (თბილისი, რუსთავი, ბორჯომი, ბათუმი, გორი, დედოფლისწყარო) 150-მდე სპორტსმენი და აფხაზეთის ნაკრები გუნდი, აგრეთვე აზერბაიჯანელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ფინალში, სხვადასხვა წონით კატეგორიებში გასულ 30 გამარჯვებულს შორის, არიან სპორტსმენები აფხაზეთიდან - 5 ჩემპიონი და 2 პრიზიორი.

საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები მედლებით, შესაბამისი ხარისხის თასებით და ფასიანი საჩუქრებით აფხაზეთის განათლები-

სა და კულტურის მინისტრმა დალი ზომერიკმა და სხვა საპატიო სტუმრებმა დააჯილდოვეს. აფხაზეთის ღია ჩემპიონატი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს ორგანიზებით ჩატარდა.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 20 მარტს, ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრში, გაიმართა სპორტის ოსტატობის კანდიდატის, მოჭიდავე იური ომანაძის (საქართველოს ერთიანობისთვის აფხაზეთში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი) სახელობის მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, 1997-1998 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

რიგით მე-9 ტურნირში, საქართველოს მასშტაბით, 250 სპორტსმენი მონაწილეობდა, სულ 24 გუნდი, მათ შორის 4 გუნდი - საკუთრივ აფხაზეთიდან.

ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ მამუკა ჩაჩუა (38 კგ.) დასახელდა, მას იური ომანაძის სახელობის სპეციალური თასი გადაეცა. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის თასებით და მედლებით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ზომერიკმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის



კონვენციური, სახელმძღვანელო და სამეცნიერო ლიტერატურით.

ბათუმის საზღვაო აკადემიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, 2010 წლის თებერვალში, უსასყიდლოდ გადასცა სასწავლო გემი. რეაბილიტაციის შემდეგ გემზე მომავალი მეზღვაურები პრაქტიკულ მეცადინეობას გადიან შემდეგ სპეციალობებში: გემთნამყვანობა, გემთმექანიკოსობა და ელექტრომექანიკოსობა, რაც საერთაშორისო საზღვაო კონვენციის მოთხოვნებს მთლიანად აკმაყოფილებს.

გემზე პრაქტიკულ სწავლებას ერთდროულად სამოცი სტუდენტი ეუფლება. ექვსთვიანი კურსის დასრულების შემდეგ მეზღვაური, პირველად საზღვაო აკადემიის ისტორიაში, საზღვაო ადმინისტრაციისგან ე.წ. სამუშაო დიპლომს მიიღებს.

სამუშაო დიპლომის მიღების შემდეგ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა, მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან კრუინგულ კომპანიაში დაინაწილოს მუშაობა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე კვალიფიციური მეზღვაურების დიდი მოთხოვნაა.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ძალზე მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლო დანერგვებისათვის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური და მატერიალური აღჭურვილობის თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობა, ყოველივე ეს, განახლებულ სასწავლო პროგრამებთან ერთად, უზრუნველყოფს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებას.

მსოფლიო ბაზარზე კვალიფიციური მეზღვაურების მზარდი მოთხოვნა და სასიხარულოა, რომ ბათუმის საზღვაო აკადემია ამ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს.

მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საგანმანათლებლო პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (TLG) წარმომადგენლები იმ უცხოელ მოხალისე მასწავლებლებს შეხვედნენ, რომლებიც აჭარის რეგიონების საჯარო სკოლებში, ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, ინგლისურ ენას ასწავლიან.

მინისტრთან შეხვედრის მიზანს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების, რეფორმებისა და გამოწვევების განხილვა წარმოადგენდა, ასევე, პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ გამოცდილებებს, ღონისძიებების, აქტივობებისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა.

მინისტრის მოხსენების შემდეგ გაიმართა სესია, სადაც პროგრამის მონაწილე მოხალისე მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცათ, მათთვის საინტერესო შეკითხვები დაესვათ მინისტრისთვის და ღონისძიების სხვა მონაწილეებისათვის.

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის მონაწილე მოხალისე მასწავლებლებთან ანალოგიური შეხვედრები დაგეგმილია და უახლოეს მომავალში საქართველოს ყველა იმ რეგიონში გაიმართება, სადაც მოხალისეები იმყოფებიან.

მინისტრმა მსგავსი შეხვედრები უკვე გამართა თბილისის, იმერეთის, გურიის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მოხალისე პედაგოგებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მორიგ პროფესიული სწავლების ცენტრ „იკაროსს“ ეწვია. ცენტრი ორიენტირებულია საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასა და დამსაქმებლის მოთხოვნაზე - მოამზადოს კვალიფიციური კადრი ტურიზმისა და სერვისის ყველა მოთხოვნადი სფეროსთვის.

„იკაროსში“ 4 თვიდან 2 წლამდე სასწავლო პროგრამები მოქმედებს 14 სპეციალობაში: ბარმენი, მზარეული, კონდიტერი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, სასტუმროს მიღება-განთავსების და დაჯავშნის სპეციალისტი, მიმტანი, სასტუმროს საქმის მწარმოებელი, მიმღები-რეცეფციონისტი, სარესტორიო საქმისმწარმოებელი, მზარეული და სხვ.

ცენტრი უზრუნველყოფილია უახლესი და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აქვს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო კლასები პროფესიების მიხედვით და სახელოსნოები (სამზარეულო, საკონდიტრო, სერვირების სასწავლო კლასი, ბარი, რეცეფციის კლასი, ფლერინგის სავარჯიშო ოთახი, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტები).



სექტემბრიდან გათვალისწინებულია ახალი პროგრამებით - გიდების, ტუროპერატორების, კონდიტერებისა და ლიფტების/ესკალატორების ელექტრომექანიკოსების მოსამზადებელი სპეციალობების დამატება. ამ უკანასკნელის მოსამზადებელი პროგრამის კურსს ამ დარგის გამოცდილი და წამყვანი სპეციალისტები წაიყვანენ, მათ მიერ მომზადებული პროფესიონალი კადრები მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტია იქნება.

III ადგილი ლაშა ზუზბაია - 29კგ.; კობა თორდია - 50კგ.

იური ომანაძის სახელობის ტურნირის მიზანია სპორტის ამ სახეობის განვითარება და პოპულარიზაცია, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა.

ტურნირის ჩატარებას ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების (კომპლექსური) მთავარი ცენტრის სპორტის სახეობათა ფილიალი „აფხაზეთი“ (აფხაზეთის სპორტსკოლა).


I ადგილი გოჩა ძიგუა - 29კგ.; მამუკა ჩაჩუა - 38კგ.; კონსტანტინე გაბაშვილი - 73კგ.; ზვირა ჩიკვილაძე - 85კგ.

II ადგილი შალვა გერლიანი - 46კგ.; დავით ქოიავა - 54კგ.; ბექა არაბული - 73კგ.



სპორტი

წყალბურთელთა გამომწვიება



საბედნიეროდ, ბოლო წლებში სპორტის ბევრ სახეობაში დაინსო აღმავლობა-აღორძინების პროცესი. მათ შორის წყალბურთიცაა, რომლის მესვეურებმაც შორს მიმავალი გეგმები დაიასახეს და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ყურადღება ბავშვთა სპორტსაც მიექცია. ეს სრულიად ლოგიკური გათვლაა - წყალბურთს ჯერ კიდევ გაისად გასამართ ლონდონის ოლიმპიადაზე უგეგმავენ მოხვედრას, 2016 წლისთვის კი ეს დავალება ბევრად მკაფიო და კონკრეტულია. ცხადია, იმ დროისთვის ნაკრების შემადგენლობაში, ძირითადად, ისინი იქნებიან, ვინც ახალგაზრდა და განსაკუთრებით - ჭაბუკთა გუნდებში გამოდიან. ამიტომ მოზარდების ნახალისების მიზნით ფედერაცია წინადაც აწყობს საერთაშორისო ტურნირებს როგორც უფროსებში, ასევე მოზარდებში. ინტერესის და სტიმულის გასაღვივებლად მათ ხშირად აგზავნიან უცხოეთში, თუმცა ცდილობენ, აქაც გამართონ რაც შეიძლება მეტი ტურნირი. რამდენიმე დღის წინ „ოლიმპიკის“ ახალგაზრდული საცურაო აუზში მორიგ საერთაშორისო რანგის შეჯიბრებას ჩაეყარა საფუძველი ნოდარ გვახარიას თასზე, რომელიც ჭაბუკთა შორის ჩატარდა. ამჯერად მასში მხოლოდ 4 გუნდი მონაწილეობდა - საქართველოს I და II გუნდები, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებები. უნდა ჩამოსულიყვნენ ეგვიპტელებიც, მაგრამ იქ განვითარებული პოლიტიკური ამბების შემდეგ ვეღარ მოახერხეს. შეჯიბრება ყველაზე უკეთ ჩვენმა I ნაკრებმა ჩაატარა, რომელმაც სამივე მეტრის სძლია და ჩემპიონობა უპრობლემოდ მოიპოვა. მეორეზე უკრაინელები გავიდნენ, მესამეზე - ბელარუსები. მათ სათანადო ხარისხის მედლები და სიგელები გადაეცათ. ტურნირზე დაწესებული იყო ინდივიდუალური პრიზებიც, რომლებსაც გამარჯვებული გუნდის წევრები დაეუფლნენ: საუკეთესო მოთამაშედ დავით კაკულია დაასახელეს, საუკეთესო ბომბარდირი სანდრო ყაზაშვილი გახდა, საუკეთესო მეყარე - ცოტნე ინკირველი, საუკეთესო მცველი - ზურაბ ჩიკვილაძე, საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი - ანდრია ბითაძე. ამ შეჯიბრებამდე ჩვენი ჭაბუკები სერბეთშიც იმყოფებოდნენ, სადაც იმ ქვეყნის ღია პირველობაში მონაწილეობდნენ. ისინი საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოხვდნენ, თუმცა 5-დან 3 შეხვედრა მაინც მოიგეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

ქართველები რიგა დაიპყრეს

ახალგაზრდა ქართველმა მოჭიდავეებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს რიგაში, ფრეინდელფელდის სახელობის XIV საერთაშორისო ტურნირში. იქ ჩვენგან თავისუფალი სტილის მოასპარეზეთა ნაკრებიც გამოდიოდა და ბერძნულ-რომაულიც, რომლებმაც კარგი ჭიდაობით ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს. „ბერძენ-რომაელებმა“ 4 ოქრო, 1 ვერცხლი, 5 ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს, „თავისუფლებმა“ - 2 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო და გუნდური პირველობა! „ბერძენ-რომაელებმა“ ჩემპიონობა ქვემო ხარაბაძე (60), საჩინო დავითაია (66), უშანგი ჩიტაშვილი (74) და რევაზ ნადარეიშვილი (84) გახდნენ, ვერცხლი სერგო გოგისვანიძემ (120) მოიპოვა, ბრინჯაოს მედლებს კი ფიროზ ნულუკიძე (60), გიორგი დავითაია (66), ზურაბ დათუნაშვილი (74), რობერტ ქობლაშვილი (84) და შოთა გოგისვანიძე (120) დაეუფლნენ. „თავისუფალთაგან“ ჩემპიონობა ლაშა ტალახაძემ (50) და თედო ებანოძემ (96) იხიემეს, მეორე ადგილზე ლაშა ლომთაძე (55), თენგიზ ჩოჩიშვილი (60) და გიორგი ასლანიშვილი (120) გავიდნენ, მესამე პრიზიორობა კი დავით გალგაშვილი (66) ირგუნა. აღსანიშნავია, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრებს სამ წონაში - 50, 55 და 96-ში მონაწილე არ ჰყოლია, ხოლო „თავისუფალთა“ ნაკრებს ორი ლიდერი აკლდა - ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩგაშვილი (55) და დავით მარსაგაშვილი (84) ეროვნულ ნაკრებთან ერთად შეკრებაზე არიან და მარტის ბოლოს დორტმუნდში, ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებენ. სადღესოდ ორივე ნაკრები ზაფხულში გასამართი ევროპისა და მსოფლიო პირველობებისთვის არჩევს კადრებს. საქართველოს პირველობების შემდეგ ეს პირველი უცხოური შეჯიბრება იყო, რომელშიც მწვრთნელებმა კანდიდატები გამოსცადეს. საამისოდ ზოგან ორ-ორი პრეტენდენტი წაიყვანეს, ზოგან - გარკვეულ საკადრო-ტაქტიკურ ექსპერიმენტებს მიმართეს და შეჯიბრებამაც სრულად გაამართლა მათი იმედები. მწვრთნელთა გასახარად, უმეტეს შემთხვევაში, კანდიდატებმა ერთმანეთშიც იჭიდავეს, ზოგ შემთხვევაში, კი საქართველოს ჩემპიონატის შედეგით თავდაყირა დავდა. მარ-

თალია, ეს მწვრთნელებისთვის ახალი თავსატეხია, მაგრამ, იმავდროულად, კონკურენციის მანიშნებელიცაა, რაც მალა-ლი შედეგების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. აპრილში ორივე ნაკრები ბაქოში იჭიდავებს საერთაშორისო ტურნირში. იქ უფრო მეტად გამოიკვეთებიან ნაკრების კანდიდატები.

ახალი თაობა - ხვალის იმედი

ახალგაზრდა ქუთაისელ ტყვიის მსროლელ ნინო ფანჩულიძეზე ადრეც დავიხსენიებ, ნინა კვირას კი 18 წლის სპორტსმენმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი - იტალიურ ბრეშიაში, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა, საბოლოოდ კი მეექვსეზე დარჩა. თუმცა ამ წმინდა სტატისტიკაზე ბევრად მნიშვნელოვანია მის მიერ საკვალიფიკაციოში ნაჩვენები შედეგი - 377 ქულა. ეს მისი პირადი რეკორდია - ერთწლიან მონაკვეთში მან პირადი მაჩვენებელი 3 ქულით გაზარდა და უკვე იმ ზღვარს მიუახლოვდა, სადაც რეალურად შეუძლია მედლებზე ფიქრი, განსაკუთრებით - გუნდურ შეჯიბრებებში. ასეთ შედეგს ჩვენი ეროვნული ნაკრების ზოგიერთი წევრიც კი იშვიათად აღწევდა, არადა, ნინა ფორმაციის ნაკრები ევროპის ვიცე-ჩემპიონიც კი გახდა გუნდურში. ამ შედეგით უფროსებში მედლის მოპოვება გაჭირდება, მაგრამ ფინალში მოხვედრა კი საესებით შესაძლებელია, თუმცა აქ გავითვალისწინოთ ფანჩულიძის ასაკი - მას ჯერ კიდევ შეუძლია მომატება და არცთუ უმნიშვნელოდ. ფანჩულიძემ ჩვენი ყურადღება შარშან იანვარში მიიქცია, როცა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში ახალგაზრდებში 374 ქულა გააკეთა. აღსანიშნავია, რომ იმ შეჯიბრების წინაც და ახლაც მან გერმანიამ გაიარა შეკრება. ეს მაგალითი ცხადად ადასტურებს, როდენ მნიშვნელოვანია მზადების ეს ფორმა ახალგაზრდებისთვის. არადა, ჩვენები შეკრებებს მოკლებულნი არიან - წელიწადში ორჯერ თუ გაიარეს, ეს უკვე დიდი მიღწევაა. საინტერესოა, რომ ბრეშიაში, ოლონდ უფროსთა შეჯიბრებაში თვით ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კომპედ ქართველ სპორტსმენთა შორის ყველაზე ტიტულთანამა ნინო სალუქვაძემ 379 ქულა გააკეთა. ცხადია, ეს მისთვის ძალზე ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ ფანჩულიძის მიღწევას კი უსვამს ხაზს. მან თუ სტაბილურად შეინარჩუნა ეს შედეგი, ეს ნიშნავს, რომ ეროვნულ ნაკრებს გუნდურ პირველობაზე მედლის მოპოვება რაგინდარა რანგის მაგივე წევრის მაჩვენებელი იკრიბება და გუნდურის შედეგები ასე ჯამდება. ცხადია, სალუქვაძის იმედი ყოველთვის უნდა გვქონდეს და თუ მას ფანჩულიძეც აუბამს მხარს, მესამე ცულადაც რომ ისროლოს, მისი გამოსვლის კომპენსირების შანსი ამ ორს მაინც ექნება. თუმცა, ფედერაცია ქუთაისელი სპორტსმენის ეროვნულ ნაკრებში გადაყვანას ჯერ არ ჩქარობს. მას ორი წელიწადი კიდევ დარჩა ახალგაზრდებში გამოსასვლელად და არ უნდათ, ნადრევად დატვირთონ უფროსებთან პაექრობით. მათი სურვილია, ნაკრებიდან ნაკრებში გადასვლის პროცესი გეგმაზომიერად, დაჩქარებულ გარეშე წარიმართოს. სხვათა შორის, სალუქვაძის შემდეგ, ფანჩულიძე მეორე სპორტსმენია, ვინც კი ჩვენი ნაკრებიდან სხვადასხვა რანგისა და ასაკის შეჯიბრებაში ფინალურ ეტაპზე გასულა - ესეც ქუთაისელის კიდევ ერთი მიღწევა. ჩვენი მსროლელები საერთაშორისო ასპარეზზე, დამოუკიდებლად, 1993 წლიდან გამოდიან და აქამდე ფინალში შესვლას სალუქვაძის გარდა ვერაგინ ახერხებდა, თუმცა რამდენჯერმე ფანჩულიძის მწვრთნელ ნინო უჩაძეს ცოტა დააკლდა აქამდე. ერთხელ, 1999 წელს ევროპის ჩემპიონატზე მან ფინალის მიღმა კინაღამ მომავალი ჩემპიონი, დანიელი სუსანა მიერძიძე დაატოვა - მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით დაუთმო მას ფინალის საგზური, თორემ ბოლო ცდებზე ცოტა რომ ეყოჩაღა, ევროპას სულ სხვა გამარჯვებული ეყოლებოდა. ასეთი გამოხატებების მიუხედავად, ფაქტია, რომ ფინალში არც უჩაძე გასულა არასოდეს და არც ჩვენი გუნდის სხვა წევრი. აი, როგორ აფასებს ფანჩულიძის სამომავლო შანსებსა და ბრეშიაში მის გამოსვლას სალუქვაძე: „მას ორი წელიწადი კიდევ რჩება ამ ასაკში საასპარეზოდ. გვინდა, ეს წლები მან ახალგაზრდულში გაატაროს, არ გვინდა მოვლენების დაჩქარება და უფროსთა შეჯიბრებებში მისი ნადრევად დატვირთვა. ფანჩულიძე ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა, საბოლოოდ კი მეექვსეზე დარჩა. მართლაც კარვად იასპარეზა და პირადი რეკორდიც დაამყარა. მობილიზაციის უნარი აქვს და ფაქტია, რომ შეკრებები ნაადგა. ახალი თაობის გასაზრდელად შეკრებები აუცილებელია და იმედია, ალბათი ტენდენცია მომავალშიც გავრცელდება, ყურადღება ახალგაზრდებს მიექცევა“.

თა ცვლა სპორტის ნებისმიერ სახეობაში გარდაუვალი პროცესია. ძალიან კარგი, თუ ის უმტიკვენიულოდ წარიმართება და ახლები ლიდერებს თუ ვერ გადააჭარბებენ, არ ჩამორჩებიან მაინც. სალუქვაძის შედეგების გამოვრება იქნებ უტოპია ჩანს, მაგრამ ეს ახალგაზრდები ღირსეულად მაინც თუ ამოუდგებიან გვერდში, თაობათა ასეთი სინთეზი ბევრ წარმატებას მოგვიტანს. ახალგაზრდების ბოლოდროინდელი გამოსვლა ნამდვილად გვაძლევს იმის გარანტიას, რომ კარგი თაობა მოდის და საქართველოში ტყვიის სროლა ერთი სპორტსმენის - სალუქვაძის სპორტი აღარ იქნება.

წარმატება ანთალიაში

ქართველმა ჭაბუკებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ანთალიაში, ევროპის თასზე. შეჯიბრება ამ უქმეებზე ჩატარდა და ჩვენი სოლიდური, დაახლოებით 45-კაციანი, გუნდის მონაგარიც ასევე სოლიდურია - 16 მედალი. მისასალმებელია, რომ ჯილდოები არა მხოლოდ ბიჭებმა, გოგონებმაც მოიპოვეს. მართალია, მათი მონაგარი ბევრად ნაკლებია ბიჭებისაზე, მაგრამ რაოდენობა არაა მთავარი, მთავარი თავად ფაქტია. სტატისტიკისთვის გეტყვი, რომ ბიჭებმა 14 მედალი მოიპოვეს - 5 ოქრო-ბრინჯაო და 4 ვერცხლი, გოგონებმა - ორი, თითო ოქრო-ბრინჯაო. ბიჭებში ჩემპიონები თამაზ კირაკოზაშვილი (60), ლევან გუგავა (73), ბექა ლვინაშვილი (81), შალვა ჩოჩილი (90) და გიორგი ლაზუაშვილი (+90) გახდნენ. ვერცხლის მედლებს აპოლონ ზურაბიანი (66), ბექა აღნდვანი (73), ადამ ვარაზიშვილი (81) და გიორგი გელაშვილი (+90) დაეუფლნენ, ბრინჯაოსას - გოდერძი ფეტვიანაშვილი (55), დავით ჭიკაძე (66), ჯაბა მუმლაძე (81), ჯაბა კაპანაძე (90) და ზაზა ხუბულური (+90). გოგონებში მხოლოდ 57-ის წარმომადგენლებმა იყოჩაღეს - მარიამ ჯანაშვილი ჩემპიონი გახდა, მარიამ ციხელაშვილი კი მესამეზე გავიდა. ამ ასაკის ძიუდოსისტა შორის ევროპის თასი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შემდეგ, ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებაა. ამიტომ მუდამ გამოირჩევა მონაწილეთა სიმრავლით და გამოინაკლის არც წლიდანდელი შეჯიბრება ყოფილა. თან, აქ მონაწილეობა არაევიროპელებსაც შეუძლიათ. ანთალიაშიც გამოდიოდნენ ისეთი ნამყვანი ქვეყნები, როგორც რუსეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ბელარუსი და სხვები. ჭაბუკები 24-26 ივნისს მალტის ქალაქ კოტონერაში ჩავინართი ევროპის ჩემპიონატისთვის არჩევეთ კადრებს. ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა ანთალიაში ნასვლა ვაფართოებულ შემადგენლობით გადაწყვიტეს, რადგან მგზავრობა ძვირი არ ჯდება და მეტი კანდიდატის გამოცდის საშუალება ეძლეოდათ. ერთი კი იყო, გზის ხარჯების შესამცირებლად ავტობუსით ნასვლა გადაწყდა, რაც მოზარდებისთვის დამატებით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამან მათზე დიდი გავლენა რომ ვერ მოახდინა, შედეგებიდანაც ჩანს. საინტერესოა, რომ სამ წონით კატეგორიაში - 73, 81 და +90-ში ქართული ფინალი გამართა. ამავე წონებში კვარცხლბეკზე მედალოსანთა უმრავლესობასაც ჩვენები შეადგენდნენ, ხოლო 73 კილოგრამში წონითი კატეგორია სულაც უნიკალური გამოდგა - ნახევარფინალის ოთხივე მონაწილე ქართველი იყო. ამ მხრივ სასიამოვნო მდგომარეობა ვიხილეთ 81-სა და +90-შიც - სამ-სამი ნახევარფინალისტი გვყავდა. ბიჭების ნაკრებისგან წარმატებას ველოდით კიდევ, აი, გოგონებისგან კი ამას ასე თამამად ვერ ვიტყვოდით. საქართველოში ქალთა ძიუდო ხელახლა იდგამს ფეხს და ჯერ კიდევ ტაა-ტით მავალს სერიოზული ხელის წაშველება სჭირდება. ძველი დიდების დაბრუნებამდე კვლავაც შორია სავალი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალთა ძიუდო მმართველობა მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორ გაა თენაძეს ჩააბარეს, პროგრესი აშკარაა. იმავე ანთალიიდან, ზედიზედ მეორე სეზონია, ოქროს მედლით ვბრუნდებით - შარშან მიძინონოსანმა ელენე ქებაძემ გამარჯვება, რომელიც უკვე ახალგაზრდულ ნაკრებში გადავიდა, წლეულს კი ჯანაშვილის ჯერი დადგა. ის შარშანაც ასპარეზობდა იქ და ბრინჯაოსთვისაც იჭიდავდა, თუმცა ნაავო და მეხუთეზე დარჩა. საინტერესოა, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამ რანგის შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება, თუმცა ორგანიზატორებს მისი ასაკი... გამორჩათ და დაუშვეს. სამაგიეროდ, მათი შეცდომა არ გამოეპარათ ძიუდოს ევროპის ფედერაციამ და საორგანიზაციო კომიტეტის ის წევრი, რომელსაც შეცდომა მოუვიდა, ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამჯერად ჯანაშვილმა შარშანდელზე ბევრად უკეთ იჭიდავა და ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო - ბელარუსი ანა ტოლსტიზენკო და თურქი კვესერ ქვიცი დააიპოვა, მორიგ მასპინძლებს - დილაი სუტს და სელინ გიულს კი ფინალში ქულათა დიდი უპირატესობით აჯობა. ციხელაშვილმა ხორვატი ადრიანა რედუზეაჯი დააიპოვა და თურქ იალცინ გუნერსაც იუკოთი უგებდა, მაგრამ წმინდად დამარცხდა და სანუგუმოში გადაერთო, სადაც მასპინძელთა ჯავრი ორმაგად იყარა - სენია ბირინჩი ძალზე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა (ორივეს თითო ვაზარი ჰქონდა, მაგრამ ჩვენებურმა ორი იუკოც აართვა), ხოლო ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ზემოსხენებულ სუტს აჯობა. გოგონების ნაკრების სხვა წევრებიდან შედარებით უკეთ მხოლოდ ანი მინდიაშვილი (63) გამოვიდა - ძირითად ბადეში ორი შეხვედრა მოიგო, მერე სანუგუმოში გადაერთო და ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ ნაავო და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მედალოსანთა გარდა, თითქმის ყველა პირველად ჭიდაობდა უცხოეთში. სამწუხაროდ, გოგონების ნაკრები საერთაშორისო ტურნირებით განვითარებული არაა, ბიჭები კი ორ კვირაში კიევში იჭიდავებენ ისე ევროპის თასზე. ალბათ, ახლანდელი შედეგების შემდეგ, ძიუდოს ფედერაცია გოგონებისთვის გამოძებნის კიევში ნასასკულელ ფულს.

„ახალი განათლება“ ჟიურის თარიღი

შემდეგი ტომის ხელმოწერის
თანხა უნდა ჩარიცხვით
25 აპრილამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი,
სკოლა, სახელი და გვარი.

**შესაძლებელია ინდივიდუალური
ხელმოწერები!**

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა

გადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22,
ა/ა GE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22,
ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22,
ა/ა 123631000

უპროპიანოდ ახალი ხელმოწერები



„რა არის რა“
ერთი ტომი – 11 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის
კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი



მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის
რეკვიზიტებია:
სამართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000